# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№28 (10031) 2026 წლის 9 მარტი, ორშაბათი


# მთავარია ძალაუფლება და მისი უდიდებულესობა ფული

## უზნეო ლაყაფისტები



4



10

**გუშინ ბორჯღალოსნები საიუბილეოდ — მეოცედ დაეუფლნენ ორი ერთმორწმუნე ერის მარადიული მეგობრობის სიმბოლოს — ანთიმოზ ივერიელის თასს!**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

## სახელი, რომელიც ეპოქებს უკავშირდება

## მტრისას, ასეთი ევროპა!

## მორიგი თავდასხმა სუვერენულ სახელმწიფოზე




3




5

შარლ დე გოლი:

## სტალინი მარტო წარსულს არ ეკუთვნის, ის მომავლის ისტორიის შემქმნელიც არის!



ნოდარ ჭითანავა

6 7

## თაობებისთვის სამაგალითო მამულიშვილი



ისააკ ჰერცოგი:

## ირანი მიიწევდა წინ 20 000 ბალისტიკური რაკეტის მარაგის შესაქმნელად...

**ჰერცოგის თქმით, სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ისრაელმა და შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტეს „სწრაფად მოქმედება“ და საფრთხის აღმოფხვრა.**

ისრაელის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ირანი საერთაშორისო სამართლის არცერთ ნორმას არ იცავდა. ისრაელის პრეზიდენტს კითხვა დაუსვეს იმის შესახებ, რატომ ახორციელებს ისრაელი თავდასხმას ირანის ფარგლებს გარეთ, კერძოდ, ლიბანზე?

**„ჩვენ ეს არ გაგვიკეთებია, ჩვენ თავად გვესხმოდნენ თავს“**, – უპასუხა **ისააკ ჰერცოგმა** და აღნიშნა, რომ **ისინი ირანის მიერ მხარდაჭერილი ლიბანური დაჯგუფება „ჰეზბოლას“ მხრიდან არსებულ თავდასხმას პასუხობდნენ.**


ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

# როცა სიმართლეს დიდი ფასი აქვს!

**ირაკლი კობახიძე:**

**„იგლ ჰილსის“ ინვესტიციაზე იყო დიდი კამპანია ე.წ. არაბიზაციასთან დაკავშირებით, რაც ჩავარდა!**




**საზოგადოება დარწმუნდა იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ინვესტიცია არის აბსოლუტურად რეალური და ის წაადგება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გამართული დებატების შეფასებისას განაცხადა.**

**„ასეთ პირობებში, როდესაც უარს ამბობენ ადამიანები დებატებზე, ჩანს, რომ მათ აქვთ დისკუსიის შიში და ეს მკაფიოდ გამოჩნდა. მიგრაციის და Eagle hills-ის პროექტის თემა ძალიან აქტუალურია და ამ საკითხზე საზოგადოება ინფორმაციას მონოლოგის რეჟიმში იღებდა. როცა მონოლოგის რეჟიმში გესაუბრებიან, ბუნებრივია, სრულფასოვან ინფორმაციას ვერ იღებ. დღეს იყო დისკუსიის შესაძლებლობა და ალბათ საზოგადოებამ ბევრად მეტი ინფორმაცია მიიღო ორივე თემასთან დაკავშირებით.**

**კარგია, რომ არსებითად კონსტრუქციულ რეჟიმში წარიმართა ეს დისკუსია და დარწმუნებული ვარ, ასეთ რეჟიმში გაგრძელდება დებატები ტელეკომპანია „იმედში“.**

**რაც შეეხება მიგრაციას, დემოგრაფიას, ეს არის ერთ-ერთი რთული, მტკივნეული საკითხი. ჩვენ მაქსიმალურად ვზრუნავთ ამ მიმართულებით ვითარების გაუმჯობესებაზე და ამ კუთხით ინიციატივებიც გავაჟღერეთ. რაც შეეხება Eagle hills-ის ინვესტიციას, იყო ძალიან დიდი კამპანია ე.წ. არაბიზაციასთან დაკავშირებით, რაც ჩავარდა, როდესაც 8 ბინა იყიდება 257 ბინიდან არაბ მოქალაქეებზე, ჩანს, რომ თითიდან გამოწოვილი იყო ეს კამპანია. ასევე ჩვენ გვქონდა ფინანსურ მხარეზე საუბრის შესაძლებლობა და ალბათ საზოგადოება დარწმუნდა იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ინვესტიცია არის აბსოლუტურად რეალური და ის წაადგება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას“...**



* * *

**სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე როდესაც არის საუბარი, 2018 წლის შემდეგ ვერავითარი მიწა ვერ გაიყიდებოდა უცხოელებზე, რადგან ეს პროცესი მთლიანად ჩაკეტილია“!**

**„ჩვენ ჩავკეტეთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისება უცხოელებზე, ოპოზიციამ მხარი არ დაუჭირა. მიწებზე დანიშნულების შეცვლას ძალიან მკაცრად ვაკონტროლებთ. მთავრობის ყველა აქტი არის გამჭვირვალე, იუსტიციის სამინისტროც გამჭვირვალედ მუშაობს, შეგვიძლია, ერთად გადავამოწმოთ კონკრეტული ფაქტები“...**

მთავრობის კონსტიტუციური ვალდებულებაა მოქალაქეების მიმართ მზრუნველობის გამოჩენა ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ.

**„რეალურად ამას ვაკეთებთ, ეს ნაბიჯი, რაც გადაიდგა „ვოლტის“, „გლოვოს“, გიდების და ა.შ. ნაწილში, სწორედ პროტექციონალიზმის გამოხატულებაა. ჩვენი მოქალაქეების მფარველობა, ეს არის ჩვენი ვალდებულება. მათ შორის, შრომითი უფლებების ნაწილში, რომ სახელმწიფოს საკუთარი მოქალაქეების მფარველობის განსაკუთრებული ვალდებულება ეკისრება, ეს საყოველთაოდ არის აღიარებული. რაც შეეხება მოკლევადიან ბინადრობის ნებართვას, ჩვენ ვფიქრობთ, რომ 5 000-იანი მაჩვენებელი უკვე აჩვენებს იმას, რომ არავითარი პრობლემა ამ მიმართულებით არ გვაქვს. თუმცა კანონპროექტის დეტალებს არ ვიცნობ, შეგვიძლია, განვიხილოთ, ვიმსჯელოთ, თუ ჩაითვლება, რომ შევჯერდებით საერთო პოზიციაზე, შეგვიძლია, ეს კანონპროექტი განვიხილოთ და მივიღოთ“,** – განაცხადა პრემიერმა.

მიგრანტების კონტროლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

**„სტუდენტების ნაწილში, ისედაც ინტერესი არ აქვს სტუდენტს, როდესაც სამედიცინო კურსს გაივლის, რეალურად ისინი საქართველოში არ საქმდებიან. სამედიცინო სფეროში ყველაზე დაბალია პროფესიული მიგრაციის მაჩვენებელი, იღებს დიპლომს, უბრუნდება თავის ქვეყანას და იწყებს ექიმად მუშაობას. გასულ 10 წელიწადში რამდენი უცხოელი არალეგალიც გავაძევეთ, იმდენი იქნა გაძევებული მხოლოდ ამ ერთი წლის განმავლობაში, მათ შორის პირველ ადგილზე არიან ინდოეთის მოქალაქეები – 20,5 პროცენტი. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც სტუდენტებად ჩამოვიდნენ, აღარ გააგრძელეს სწავლა და დარჩნენ მიგრანტებად. რისკი არსებობს და ამიტომ სტუდენტების ნაწილში და შრომითი მიგრაციის ნაწილში დღესაც მოქმედებს კონტროლის სისტემა და კიდევ უფრო გასამკაცრებელია“,** – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

წელს სამიზნე მაჩვენებელი არის 4 000 არალეგალი მიგრანტის გაძევება.

* * *

**სადმე თუკი იყო ძალიან სერიოზული ზეწოლა, ეს იყო სწორედ ჰესების მშენებლობაზე... მომავალში ჰესები აშენდება ისე, როგორც ეს სჭირდება ქვეყანას.**

* * *

**დიდი მხარდაჭერაა მთავრობისგან, რათა მრეწველობის დონე არ ჩამორჩეს ეკონომიკის განვითარებას, არ არსებობს საწარმო, სადაც სახელმწიფო არ ახდენს სუბსიდირებას!**

2012 წელს 8 მილიარდამდე იყო და, ამ დროის მონაცემებით, 25 მილიარდს გადასცდა მრეწველობის ბრუნვა, 2012 წელს განხორციელდა 646 მილიონი ლარის ინვესტიცია, ხოლო 2024 წლის მაჩვენებელი იყო 1,9 მილიარდი.

**„ძალიან დიდი მხარდაჭერაა მთავრობისგან, რათა მრეწველობის დონე არ ჩამორჩეს ეკონომიკის განვითარებას. ეს არის რუსთავის „აზოტი“, მეტალურგიული ქარხანა, ფერო, შაქრის წარმოება, მინის წარმოება და ა.შ. ეს არის ძირითადად ტრადიციული საწარმოები, რომლებიც საბჭოთა პერიოდიდან მოქმედებს, თუმცა მოხდა ამ საწარმოების თვისებრივი გადაიარაღება. მხოლოდ აზოტში 140 მლნ დოლარის ინვესტიცია არის ჩადებული. როცა საქმე ეხება მრეწველობას, პრაქტიკულად ყველა საწარმო არის ირიბი სუბსიდიის ქვეშ. არ არსებობს საწარმო მრეწველობის ნაწილში, სადაც სახელმწიფო არ ახდენს სუბსიდირებას...“**

# ზურაბ აბაშიძე: დღეს მინდა, ნაწილობრივ მაინც დაგიბრუნოთ ის სითბო, რომელსაც თქვენ ასე უხვად უზიარებთ საზოგადოებას

**ქართული ესტრადის, კინოსა და თეატრის, ტელევიზიის, ლიტერატურის და მეცნიერების ღვაწლმოსილ წარმომადგენლებს დედის დღე და ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცეს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ ზურაბ აბაშიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ბექა დავითულიანმა, თინათინ ნიბლოშვილმა და ლევან ჯაფარიძემ, საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ ბექა ოდიშარიამ, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ კახა ლაგუჩიძემ, ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ და ფრაქცია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარემ ზაქარია წიკლაურმა, ასევე დიდუბის მაჟორიტარმა გივი ჩხარტიშვილმა.**

**თბილისის საკრებულოში „თბილისის საპატიო მოქალაქის“ ჯილდოს მფლობელ ქალბატონებს უმასპინძლეს, რომლებმაც ეს წოდება 2025 წელს მიიღეს.**



როგორც თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, საკრებულოსთვის დიდი პატივია ასეთი ძვირფასი და სახელოვანი ქალბატონების მასპინძლობა.

თბილისის საკრებულოში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ პოეტი და მხატვარი **თინათინ მღვდლიაშვილი;** ექიმი-რეპროდუქტოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ჯენარო ქრისტესაშვილი;** დიქტორი და მსახიობი **თინა მგალობლიშვილი;** ექიმი, პედაგოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **თინათინ გუკია;** მომღერალი, საქართველოს დამსახურებული არტისტი **ნანული აგესაძე;** მომღერალი და მსახიობი, ანსამბლ „ივერიის“ სოლისტი **მანანა თოდაძე;** კინოსა და თეატრის მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი **ნანული სარაჯიშვილი**; მუსიკოსი და პედაგოგი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი **ლეილა მუმლაძე.**

მტრისას, ასეთი ევროპა!

საქართველოს რესპუბლიკა

# საქართველოს ჯანსაღ სხეულს ნაცპარაზიტები შეესივნენ!

## მორიგი თავდასხმა სუვერენულ სახელმწიფოზე

ევროკომისიამ ქართული დიპლომატიური, სამსახურებრივი და ოფიციალური პასპორტების მფლობელებისთვის უვიზო მიმოსვლა შეაჩერა. ახლა მათ მოეთხოვებათ ვიზა ოფიციალური მიზნებისთვის, შენგენის ზონაში შესვლისას. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ვიზების შეჩერების ახალი გაძლიერებული მექანიზმი გამოიყენება.

ვიზების შეჩერების მექანიზმი ამოქმედდა საქართველოს მიერ უვიზო რეჟიმის ფარგლებში აღებული ვალდებულებების, დემოკრატიისა და ფუნდამენტური უფლებების ძირითად სფეროებში მიზანმიმართული და მუდმივი დარღვევის საპასუხოდ.

ამასთან, როდესაც ქართული დიპლომატიური, სამსახურებრივი და ოფიციალური პასპორტების მფლობელები შენგენის ვიზაზე განაცხადს აკეთებენ, წევრ სახელმწიფოებს ეძლევათ რეკომენდაცია, ჩაატარონ საფუძვლიანი შემოწმება, დაგეგმონ ინტერვიუ და მოითხოვონ ამ განმცხადებლებისგან დამადასტურებელი დოკუმენტები. როგორც განცხადებაში აღნიშნულია, წევრმა სახელმწიფოებმა უარი უნდა თქვან ვიზების გაცემაზე, თუ განმცხადებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობასთან დაკავშირებით რაიმე ეჭვი არსებობს.




**სახელმძღვანელო პრინციპები წევრ სახელმწიფოებს ევროკავშირის საბჭოს სხდომაზე 27 მარტს წარედგინება და კომისია წევრ სახელმწიფოებთან ერთად, მჭიდროდ დააკვირდება მათ განხორციელებას. ევროკომისიის მიერ საქართველოს დიპლომატიური პასპორტის მფლობელებისთვის უვიზო რეჟიმის შეჩერება ძალაში უკვე შევიდა და 12 თვის განმავლობაში, 2027 წლის 6 მარტამდე გაგრძელდება.**

ამასთან, როგორც ევროკომისია განმარტავს, თუ საქართველოს ხელისუფლება მმართველობასა და კანონის უზენაესობასთან დაკავშირებულ საკითხებს არ მოაგვარებს, კომისიას შეუძლია, შეჩერება 24 თვემდე გააგრძელოს.

**„კომისიას ასევე შეუძლია გადაწყვიტოს ამ ზომების გავრცელება საქართველოს ყველა მოქალაქეზე. ამ დროის განმავლობაში, სიტუაციის გამოსწორება საქართველოს ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. კომისია მკაცრად მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, კონსტრუქციულად ჩაერთოს ამ პროცესში“**, – აღნიშნულია ინფორმაციაში.



ევროკომისიის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი, ტექნოლოგიური სუვერენიტეტის, უსაფრთხოებისა და დემოკრატიის საკითხებში **ჰენა ვირკუნენი** აცხადებს, რომ ეს არის პასუხი მშვიდობიანი მომიტინგეების, პოლიტიკური ოპონენტებისა და დამოუკიდებელი მედიის წინააღმდეგ ძალადობრივ რეპრესიებზე. მისი განცხადებით, საქართველოში რეპრესიები მას შემდეგ დაიწყო, რაც ქვეყნის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ევროკავშირთან მოლაპარაკებებს 2028 წლამდე არ გახსნის.

**„ვიზალიბერალიზაცია ევროკავშირსა და მსოფლიოში პარტნიორ ქვეყნებს შორის მობილობის ხელშეწყობის გასაღებია. ისინი, რომლებიც არ იცავენ ფუნდამენტურ უფლებებს, არ უნდა სარგებლობდნენ ამ თავისუფლებით. ევროკავშირი მხარს უჭერს ქართველ ხალხს“**, – აცხადებს **ჰენა ვირკუნენი**.

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ევროკომისიამ ქართული დიპლომატიური, სამსახურებრივი და ოფიციალური პასპორტების მფლობელებისთვის უვიზო მიმოსვლა შეაჩერა, გერმანიის ელჩს საქართველოში, პეტერ ფიშერს ესტუმრნენ ნინო ლომჯარია და „ნაცმოძრაობის“ ე.წ. „ახალი გაერთიანების“ წევრები. „ქრონიკის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, გერმანიის ელჩთან საუბრისას, ლომჯარიამ თქვა, რომ „ხალხი უნდა დაისაჯოს ვიზით, სხვა არაფერი ჭრის, ფაქტია“. „ქრონიკის“ ინფორმაციით, დისკუსიაში დისტანციურად ჩართულია ევროკავშირის ელჩიც. ოპოზიცია ევროპელებს აჩქარებს, რადგან მათი თქმით, ივანიშვილი ამერიკელებთან ლაგდება და ისინიც უთავმოყვარეოდ ეთამაშებიან.

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა **ლომჯარიასა** და **პეტერ ფიშერის** დახურული შეხვედრის სკანდალური შინაარსი, **გერმანიის ელჩმა ნინო ლომჯარია საკუთარ ავტომანქანაში ჩასვა და საელჩოს უკანა გასასვლელიდან გააპარა.** ამის შემდეგ კი, რადიკალური ოპოზიციის რეალურმა ლიდერმა გერმანიის ელჩმა **პეტერ ფიშერმა** გადაწყვეტილება შეაფასა და აღნიშნა, რომ სამწუხაროა, რადგან საქართველოს ხელისუფლებამ საქმე აქამდე მიიყვანა.

**„დარღვევებს შედეგები მოჰყვება. ჩვენ გვსურს, რომ ჩვეულებრივი პასპორტების მქონე ქართველებმა უვიზო მიმოსვლით სარგებლობა გააგრძელონ. თქვენ მეგობრები ხართ და ევროკავშირში თქვენი მიღება ყოველთვის სასიხარულოა. შეგიძლიათ, რომ ევროკავშირის წევრებიც კი გახდეთ. ეს თქვენს ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. ახლა თქვენ ევროკავშირს შორდებით“**, – წერს **პეტერ ფიშერი** X-ზე.

მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. ოპოზიციის და, მათ შორის, ზოგადად, ევროკავშირის ნდობის რეიტინგი საქართველოში არის ძალიან დაბალი, მაინც ცდილობენ, შეცვალონ ხელისუფლება მათივე მარიონეტებით. თუ ეს არ გამოუვათ და არ გამოსდით, შესაბამისად, მზად აქვთ გეგმა „ბ“ – ქვეყანა აღმოჩნდეს ომის ეპიცენტრში. რუსეთ-უკრაინის შემთხვევაში ეს არ გამოუვიდათ, ახლა კი ცდილობენ, გამოიყენონ ამერიკა-ისრაელი-ირანის ომი და სწორედ ამას ემსახურებოდა თავდაცვის ყოფილი მინისტრის **თინა ხიდაშელის** პროვოკაციული განცხადება, მათ შორის, გენერალური შტაბის ყოფილი უფროსის **ვახტანგ კაპანაძის** არანაკლებ სულელური განცხადება, რომ საქართველოში აშშ გახდება ირანის სამიზნე.

რაც შეეხება გადაწყვეტილებას, საპარლამენტო უმრავლესობის წევრის **ირაკლი ქადაგიშვილის** განცხადებით, გარე ძალები ფიქრობენ, რაღაცნაირი ბერკეტები აამუშაონ, რომ საქართველოში ვითარება დაძაბონ და ამის ერთადერთი საშუალება აქვთ – მოსახლეობისთვის უვიზო მიმოსვლის შეჩერება.

**„რევოლუციას, არეულობას ვერ აღწევენ. ხედავენ იმასაც, რომ შესაძლოა, მართლაც გადაიტვირთოს ურთიერთობა საქართველოსა და აშშ-ის შორის. ხედავენ იმასაც, რომ საქართველოს მოსახლეობის ნდობა ხელისუფლების მიმართ არის მყარი, ამიტომ ფიქრობენ, რომ რაღაცნაირი ბერკეტები აამუშაონ, რათა საქართველოში ვითარება დაძაბონ. ამის ერთადერთი ბერკეტი, რაც გააჩნიათ, გახლავთ უვიზო მიმოსვლის რამენაირად შეჩერება ჩვენი მოსახლეობისათვის.**

**ამით ფიქრობენ, რომ მოსახლეობაში უკმაყოფილება გამოიწვიონ და შემდეგ ეს გადათარგმნონ არეულობასა და რევოლუციაში. ეს სწორედ ის მეხუთე კოლონაა, რომლებიც არა მარტო ბომბების წვიმას, არამედ ღიად ითხოვდნენ იმასაც, რომ დიახ, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საქართველო ამ ფორმით სანქციების ქვეშ მოჰყვეს. ამაზე ღიად რაღა უნდა იყოს ნათქვამი, ამაზე ღია კოლაბორაცია გერმანიის ელჩსა თუ ევროკავშირის ელჩს და ამ მოთხოვნის ავტორებს შორის, რაღა უნდა იყოს?!“**, – აღნიშნა **ირაკლი ქადაგიშვილმა.**

ანალიტიკოსის **გია აბაშიძის** შეფასებით, კონსპირაციული მასკარადი, გერმანიის „ელჩ“ ფიშერთან მისული უსამშობლო ნინო ლომჯარიას გაყვანაზე ცხადყოფს, რომ ანტიქართულ თემებზე სისინებდნენ – დემოკრატი აქტორი ჟურნალისტებს არ ემალება.

**„საქართველოში გერმანიის დიპმისიაში სტუმრობა თავად აქციეს აგენტოკრატიამ და მისმა უხარისხო მონებმა მაკომპრომეტირებელ აქტივობად. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა პანიკაში არიან ხრიოკი აზროვნების ეს უთვისტომო ნაცარსებები, როცა ობიექტური მედიისთვის, ანდა საზოგადოებისთვის უწევთ პასუხების გაცემა.**

**უსამშობლოების კლასტერის ე.წ. კონკურსში, თუ ვინ ეცდება საქართველოს ხალხის მეტად დაზარალებას, დაწინაურდა უჯიშო ნინო ლომჯარია, რომელიც ევროპისგან ვიზებით დასჯას მოითხოვს. ადამიანებად წოდებული ნაცპარაზიტები, რომლებიც მათი დე ფაქტო სამშობლოს როგორმე დაზიანებით არიან დაკავებულნი, ვერასდროს იქნებიან რაიმე გავლენის მომხდენნი.**

**კოლექტიური ნინო ლომჯარიების დრო იყო საბჭოთა რეპრესიულ სისტემაში, სადაც ასეთ „დანოსჩიკებს“ იყენებდნენ და ბოლოს მოისვრიდნენ ხისტად. აგენტოკრატიისთვის მარგი უკუქმედების მქონე ორგროშიან მონებს არ აქვთ ხანგრძლივი ექსპლუატაციის ვადა“**, – აცხადებს **გია აბაშიძე.**

თამთა ქარჩავა



# მთავარია ძალაუფლება და მისი უდიდებულესობა ფული









**გენერალი ვახტანგ კაპანაძეც, თურმე, სწორედ ამ კეთილშობილური მიზნით დიად ლაპარაკობს საქართველოს სამხედრო უმწეობაზე, მიუთითებს სუსტ წერტილებზე ქვეყნის თავდაცვის სისტემაში. თავისი „პოლიტიკური პატიოსნებით“ ცნობილი ნინო ლომჯარიაც, თურმე, ამიტომ ცდილობს რაღაც საიდუმლო ინფორმაციები მიაწვდინოს საქართველოზე უანგაროდ შეყვარებულ გერმანიის ელჩს...**

**რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად დავიწყებ იმით, რომ ამ სტატიის დაწერის საბაბი გახდა არცთუ შორეულ წარსულში „ქართული ოცნების“ მიერ საქართველოს თავდაცვის მინისტრად აღზევებული ქალბატონის, იმავე „ქართული ოცნების“ მიერ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ არჩეული დავით უსუფაშვილის მეუღლის, 20 და 25 წლის ვაჟების დედის, თინათინ ხიდაშელის კატეგორიული სატელევიზიო განცხადება, რომ, თურმე, საქართველოს ერთ-ერთ (საიდუმლო) უნივერსიტეტში „ხდება ტერორისტების მომზადება“.**

პატრიოტი ქალბატონის ეს განცხადება მაშინვე მოექცა მეტნაკლებად მოაზროვნე ქართული საზოგადოების, ჩვენი შინაური და გარეული მტერ-მოყვრის ყურადღების ცენტრში. მეტიც, გავრცელდა უცნაური, აშკარად დანაშაულებრივი მინიშნებები და მტკიცებულებები საქართველოს სტრატეგიული ობიექტებისა და მთლიანად ქვეყნის სამხედრო უმწეობის თაობაზე.

**როგორც მოსალოდნელი იყო, ქალბატონ თინას მაშინვე აუბეს მხარი თავისი პოლიტიკური „პრინციპულობით სახელგანთქმულმა გუბაზ სანიკიძემ, საქართველოს საბჭოთა წარსულისა და თანამედროვეობის არანაკლებ სახელმოხვეჭილმა „მკვლევარმა“ გიორგი კანდელაკმა, „გენერალმა“ ვახტანგ კაპანაძემ, არანაკლებ დიდმა „გენერალმა“ გივი თარგამაძემ, თავისი ყოვლისმცოდნეობით აღიარებულმა „მსოფლიო ლიდერმა“ ნიკა გვარამიამ და სხვებმა.**

სწორედ აქედან გამომდინარე, მოდი, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ტერმინ „ტერორის“ მნიშვნელობა და წარმოშობის ისტორია, ასე რომ აათორიაქა მთელი საქართველო.

**ტერორი – (ლათ. Terror) პოლიტიკური ან სხვა მოტივების საფუძველზე ფიზიკური ანგარიშსწორება (ან მუქარა); ვინმეს (კერძო პირის, ორგანიზაციის, გაერთიანების, სახელმწიფოს...) დაშინება მუქარით ან ფიზიკური ძალადობით.** ანუ ტერორისტი, შესაძლოა, იყოს ტერორისტული დავალების შემსრულებელი ინდივიდუალური პირი, პირთა ჯგუფი, გაერთიანება და თვით სახელმწიფოც კი.

პირველი კარგად ორგანიზებული ტერორისტული ორგანიზაციის შექმნის პატივი სამართლიანად ეკუთვნის დღესაც ათასი ლეგენდის ბურუსში გახვეულ ოდესღაც მრისხანე ალამუთის ციხეთა კასკადის მბრძანებელს, თავზეხელაღებული ფიდაების (არაბულად – თავგანწირული, თავის მსხვერპლად მიმტანი) ლეგიონების შემქმნელს და წინამძღოლს, მსოფლიო ისტორიაში „მთიელ პაპად“ ცნობილ ჰასან იბნ საბაჰს.

1090 წელს ეროვნებით სპარსმა, რწმენით მუსლიმმა-შიიტმა ჰასან იბნ საბაჰმა თავის ფიდაებთან („თავგანწირულებთან“) ერთად, მოულოდნელი იერიშით აიღო მიუდგომელი ციხე-სიმაგრე ირანის ალამუთის მთებში, მერე მას სხვა ციხეები და მამულებიც მიუმატა და შექმნა დამოუკიდებელი ტერორისტული სახელმწიფო ირანის სახელმწიფოში, რომელიც საუკუნენახევარზე მეტი ხნის განმავლობაში შიშის ზარს სცემდა მაშინდელ კაცობრიობას.

იმდროინდელი მსოფლიოს პანიკურ შიშს იწვევდა ფიდაების გაუგონარი სიმამაცე, დაუნდობლობა და, რაც მთავარია, ევროპის, აზიის და აფრიკის ქვეყნების დედაქალაქებში მრავალი ადამიანის თვალწინ შესრულებული სისხლიანი ტერორისტული აქტები, რომლებიც, ძირითადად, რომელიმე პოლიტიკური ფიგურის ან მმართველი ძალის დაშინებას ემსახურებოდა.

ნიშანდობლივია, რომ უაღრესად განათლებული „მთიელი პაპის“, ჰასან იბნ საბაჰის პირველი სამიზნე იყო მისივე ბავშვობის მეგობარი, ოცი წლის განმავლობაში თურქ-სელჯუკთა იმპერიის პირველი ვეზირი და ფაქტიური მმართველი ნიზამ ალ-მულქი. იქნებ უცნაურად მოგეჩვენოთ, რომ „მსოფლიო ტერორისტის“ ბავშვობის დროინდელი მეგობარი გახლდათ აგრეთვე ყიას ედ-დინ აბუ ალ-ფათჰ უმარ იბნ იბრაჰიმ ხაიამ ნიშაბური, ანუ ჩვენთვის კარგად ცნობილი გენიალური სპარსი პოეტი ომარ ხაიამი!

**ისტორიკოსთა ინტერესსა და „პაპა ჰასანის“ ბავშვობის სამეგობროს რომ თავი დავანებოთ, დაფიქრების და ანალიზის ღირსია ის ფაქტი, რომ ასასინებისადმი განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით გამოირჩეოდნენ ცნობილი ამერიკელი მწერალი-ავანგარდისტი უილიამ ბეროუზი, ჩვენთვისაც დღემდე სათაყვანებელი მწერლები ონორე დე ბალზაკი, ვიქტორ ჰიუგო, ალექსანდრე დიუმა-მამა, შარლ ბოდლერი და სხვები.**

**ალამუთის ციხეთა სისტემის ბინადართა დამარცხება 1256 წელს პირველად მონღოლებმა მოახერხეს. მათი საბოლოო განადგურების დაფნის გვირგვინი კი უდავოდ ეკუთვნით ეგვიპტელ მამლუქებს, რომლებმაც 1273 წელს ტერორისტების ბუდე ალამუთი მიწის პირისაგან აღგავეს.**

საინტერესოა, რომ როგორც მონღოლთა (ჰულაგუ ყაენის მეთაურობით), ისე ეგვიპტელ მამლუქთა მოწინავე რაზმებში ბევრი ქართველი მეომარი იბრძოდა. ანუ ქალბატონი თინა ხიდაშელის და მისი მიმდევრების გასაგონად იმის თქმა მინდა, რომ ასასინების მსოფლიო ტერორისტული გაერთიანების განადგურებაში ქართველ მეომრებსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით. ასასინები იქით იყოს და, ისტორიისთვის კარგადაა ცნობილი საბჭოთა „წითელი ტერორი“ (1933-1938 წ.წ.), ფაშისტური „შავი ტერორი“ (1933-1945 წ.წ.), ბერძნული „თეთრი ტერორი“ (1945-1946 წ.წ.), ჩინელი ხუნვეიბინების (1968-1976 წ.წ.) „ყვითელი ტერორი“, კუბური ტერორი, სამხრეთ-ამერიკული ტერორი და ა. შ.

**მიკერძოებასა და მსოფლიო ტერორიზმის წინაშე ქართული დამსახურების დაუნახაობაში რომ არ ჩამეთვალოს, მოკრძალებით ჩვენი მარადიული პრეზიდენტის, სააკაშვილის იმპერატორობის ეპოქასაც შეგახსენებთ. უფრო კონკრეტულად, შეგახსენებთ მის ისტერიულ მოწოდებებს „არავითარი დანდობა!“ –„ყველანი ციხეში!“ შეგახსენებთ ათასობით ნაწამებ ადამიანს, ქუჩაში დახოცილ ახალგაზრდებს, სააკაშვილისა და მისი „ჩემი გუნდის“ წევრთა ცინიკურ ქმედებებსა თუ განცხადებებს... იმედია, ქალბატონი თინა არ დამეთანხმება, მაგრამ სააკაშვილისეული ცინიკური ტერორის მრავალთაგან ერთი თვალსაჩინო ნიმუში იყო ე.წ. „ერგნეთის ბაზრობის“ დახურვაც.**

იმედია, დამეთანხმებით, რომ ტერორისტული ორგანიზაციის არსებობა არის მომაკვდინებელი საფრთხე ნებისმიერი ქვეყნისთვის და საქართველო ამ მხრივ გამონაკლისი ვერ იქნება. ანუ, თუ დამტკიცდება, რომ საქართველოში მართლაც არსებობს ტერორისტების მომზადების ცენტრი, ქალბატონი თინას ინფორმაციით, „ტერორისტული უნივერსიტეტი“, რაიმე ევროპულ ალიანსზე ფიქრიც კი ყოვლად წარმოუდგენელია. უფრო მარტივად – ქალბატონი თინა შეგნებულად ავრცელებს ცრუ ინფორმაციას ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის გასაფრთხილებლად – შორს საქართველოსგან, ჩემი სამშობლო საქართველო ტერორისტების ბუდეა!

იმავეს იმეორებს საქართველოდან გადახვეწილი „პატრიოტი“ **გივი თარგამაძეც:**

**„...ტერორისტების უნივერსიტეტი გობინებს და მუშაობს, აი, მთელი ძალით საქართველოში და სწორედ ისინი ახდენენ ამ ადამიანების „ვერბოვკას“, ასე რომ ვთქვათ, რა. ისინი იწვევენ მათ, ისინი ასწავლიან ამ საქმიანობას და ისინი აგზავნიან კონკრეტულ დანაშაულის ჩასადენად მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა ადგილებში“** (სტილი დაცულია – **თ. ქ.**).

ერთი წამით წარმოვიდგინოთ – ღმერთმა ნუ ქნას და, ირანთან ომში ჩაბმულმა აშშ-მა ამ გარეწარი „პოლიტიკოსების“ ნაბოდვარი რომ დაიჯეროს, ხვალვე საქართველოდან ფერფლიც აღარ დარჩება!

ბოდიშის მოხდით, გთხოვთ ორიოდე წუთით „გენიოს“ **ნიკა გვარამიასაც** მოვუსმინოთ:

**„ევროკავშირი სომხეთის და აზერბაიჯანის ორივეს ტერიტორიაზე ვერ იარსებებს, ეს ვიცით ყველამ. თურქეთშიც დაბალი ალბათობაა ამისი. როგორც კი ირანი იხსნება, მარშრუტი სომხეთი-ირანიდან საქართველოზე და ირანი, რა თქმა უნდა, ბევრად მდიდარი ქვეყანაა, ვიდრე აზერბაიჯანი, ეს მარშრუტი სრულიად ცვლის კონფიგურაციას – ევროკავშირის წევრი საქართველო ხდება მნიშვნელოვანი. ანუ ევროკავშირის წევრობა, როგორც მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, მინიმუმ ასევე მნიშვნელოვანი ხდება დასავლური სამყაროსთვის. ევროკავშირის წევრობა ხომ ვიცით, თავსებადი არ არის ბიძინა ივანიშვილის რეჟიმთან. იმ წუთში, მყისიერად. ანუ ირანში ომის არა, დემოკრატიის დამყარება არის შავი სიზმარი ქართული ოცნებისთვის. ასევე პრობლემატურია აზერბაიჯანისთვის, ღიად უნდა ვთქვათ...“** (სტილი დაცულია – **თ. ქ.**).

თუ სწორად მივხვდი (რთულია გენიალურ მოაზროვნეთა აზდაუზდის გაგება!), საქართველოსა და დანარჩენი კაცობრიობის საღად მოაზროვნე ნაწილს, მათ შორის, ბიძინა ივანიშვილს, ეს გრანდიოზული ომი იმიტომ არ მოსწონთ, რომ, თურმე, იგი ირანში და საქართველოში დემოკრატიის დამკვიდრებას ემსახურება!

არანაკლებ კეთილშობილურად გამოიყურება „ჰადსონის ინსტიტუტის“ მეცნიერ-თანამშრომლისა და „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის“ პროექტების მენეჯერ გიორგი კანდელაკის ერთ-ერთ ამერიკულ გაზეთში გამოქვეყნებული „კვლევა“ საქართველოში თეირანის პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური და კულტურული გავლენების ზრდის თაობაზე...

რასაც ახლა ვიტყვი, ეს არ ეხება გენერალ ვახტანგ კაპანაძეს – მას, შესაძლოა, ელემენტარული სალდაფონური პირდაპირობა ალაპარაკებდეს (თუმცა, ეს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობიდან).

**თინა ბოკუჩავას, თინა ხიდაშელს, გივი თარგამაძეს, ლევან სანიკიძეს, ნინო ლომჯარიას, ნიკა გვარამიას, გიორგი კანდელაკს და კიდევ ბევრ სხვას საქართველოს დღევანდელობაც და ხვალინდელი დღეც, ომიც და მშვიდობაც ფეხებზე ჰკიდიათ. მათთვის მისაღებია ყველაფერი, რაც სახელს გაუტეხს, როგორმე გაანადგურებს მმართველ პარტიას და ხელს შეუწყობს ხელისუფლებაში ნაცბანდის აღზევებას. არა აქვს მნიშვნელობა, იქნება ეს რუსეთ-უკრაინის თუ აშშ-ირანის ომი.**

**მათთვის ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების უმანკო სისხლიც არაფერია (ალბათ, საკუთარი შვილები და შვილიშვილები უკვე კარგა ხანია, უსაფრთხო ქვეყნებში ჰყავთ გადამალული) – მთავარია, ძალაუფლება და მისი უდიდებულესობა ფული!**

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნაცოპოზიციის ერთ-ერთ მთავარ იდეოლოგად ჩამოყალიბებული ხიდაშელის საქციელი – თავისი ანტისახელმწიფოებრივი სატელევიზიო განცხადების გამო („საქართველოს რომელიღაც უნივერსიტეტში ტერორისტებს ამზადებენო“) სუსში გამოკითხვიდან გამოსულმა ჟურნალისტებს თავხედურად განუცხადა, ასეთი რამ მე არ მითქვამსო!

ანუ ამ ნამინისტრალ ქალბატონს მთელი საქართველო, თავისივე მომხრეების ჩათვლით, გონებაჩლუნგების ბრბოდ მიაჩნია...

სანუგეშოს ვერაფერს ვამბობ – უკვე მეორე კვირაა გრძელდება დემოკრატიზმის ჭრელი ხალათით შეფუთული უსასტიკესი ომი მეზობელი ირანის ტერიტორიაზე; გაჩნდა ამ ომში ჩვენი კარის მეზობელი აზერბაიჯანის უშუალოდ ჩართვის საშიშროება; თვითონ ირანში შედარებით მოკრძალებული ანტისახელისუფლებო მიტინგების პარალელურად, გაიმართა მრავალ ათეულათასიანი ხელისუფლების მხარდამჭერი ანტიამერიკული გამოსვლები...

**გრძელდება მთელი მსოფლიოსთვის არანაკლებ საშიში რუსეთ-უკრაინის, უფრო ზუსტად – რუსეთ-ევროკავშირის ძმათამკვლელი ომი...**

**იმედია, ამ ფონზე სარკაზმად არ ჩამეთვლება: რვა მარტს გილოცავთ, ძვირფასო ქალებო!**



**თეიმურაზ ქორიძე**

08. 03. 2026



## შარლ დე გოლი:

# სტალინი მარტო წარსულს არ ეკუთვნის, ის მომავლის ისტორიის შემქმნელიც არის!

**„ანუ საზღვარი ოდერზე გატარდება?,** – ვკითხე. **„ოდერზე და ნეისეზე“,** – დააზუსტა მან, – **გარდა ამისა, საზღვარი ჩეხოსლოვაკიის სასარგებლოდაც უნდა გასწორდეს“...**

ვთქვი, რომ ჩვენ რაიმე პრინციპული საწინააღმდეგო აზრი არ გვქონდა ამ ტერიტორიული ცვლილებებისადმი, რომელიც, როგორც ჩანს, პოლონეთისთვის ერთგვარ კომპენსაციას წარმოადგენდა მისი აღმოსავლეთი საზღვრის შეცვლის გამო (პოლონეთის აღმოსავლეთი ნაწილების ანუ დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის სსრ კავშირის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ). თუმცა, მე მაინც დავამატე: **„ნება მომეცით შევნიშნო, რომ თუ თქვენი აზრით, რეინის ოლქის საკითხის ახლა გადაწყვეტა ნაადრევია, მაშინ გამოდის, რომ ოდერზე პოლონეთის საზღვრის საკითხი უკვე გადაწყვეტილია?“.**

სტალინს არაფერი უთქვამს და ისევ კარაკულებს წერდა, შემდეგ თავი ასწია და წინადადება შემომთავაზა: **„მოდით, უმჯობესია ერთად განვიხილოთ საფრანგეთ-რუსეთის ხელშეკრულების დებულებები, რომ ჩვენი ქვეყნები უსაფრთხოდ და დაცულნი იყვნენ ახალი გერმანული აგრესიისაგან“.**

**„ჩვენ ამისთვის მზად ვართ, – ვუპასუხე, – იმავე მიზეზების გათვალისწინებით, რომლებმაც ძველი ფრანგულ-რუსული ალიანსი განაპირობეს და უფრო მეტიც,** – დავამატე გარკვეული ცბიერი გამომეტყველებით – **„1935 წლის პაქტიც“**. შევატყვე, რომ სტალინს და მოლოტოვს ამ პაქტის გახსენება არ ესიამოვნათ. მოლოტოვმა თქვა, რომ **„პრემიერ-მინისტრ პიერ ლავალთან ჩვენს მიერ ხელმოწერილი პაქტის მოთხოვნები იმავე თქვენმა ლავალმა აბსოლუტურად არ შეასრულაო. მაშინ მე შემრიგებლურად შევნიშნე, რომ ორ ქვეყანას შორის დადებული 1935 წლის პაქტი და უფრო ადრინდელი 1892 წლის ალიანსი გერმანიის საფრთხის გამო გაფორმდა და სიტუაციას სრულებით შეესაბამებოდა-მეთქი. ის, რომ 1935 წლის პაქტის მოთხოვნები არ შესრულდა, ეს ორივე ქვეყნისთვის გაკვეთილი უნდა იყოს. „რაც შემეხება მე“,** – დავამატე...

**„მე პიერ ლავალი არ ვარ“**. სიტუაცია განიმუხტა და შევთანხმდით, რომ ჟორჟ ბიდო და ვიაჩესლავ მოლოტოვი ხელშეკრულების ტექსტის შემუშავებით დაკავდებიან.

მომდევნო დღეების განმავლობაში ორივე ქვეყნის მინისტრები ერთმანეთს მრავალჯერ ხვდებოდნენ. მათ გაცვალეს ხელშეკრულების პროექტები, რომლებიც, სხვათა შორის, ერთმანეთს შინაარსით ძალიან ჰგავდნენ. იმავდროულად მუდმივად ვიყავით დაკავებულები ურიცხვი მიღებებით, ვიზიტებით და ექსკურსიებით.

ერთ დღეს სპირიდონოვკაზე ვიაჩესლავ მოლოტოვმა საუზმე მოგვიწყო, რომელშიც მისი მოადგილეები – **(ვლადიმერ) დეკანოზოვი, (მაქსიმ) ლიტვინოვი** და **(სოლომონ) ლოზოვსკი** მონაწილეობდნენ... და რაც მთავარია, მოვიდა იოსებ სტალინიც.

დესერტის დროს იოსებ სტალინმა ბოკალი ასწია და სადღეგრძელო იმ ხელშეკრულებას მიუძღვნა, რომლის დადება ჩვენს ქვეყნებს შორის იყო დაგეგმილი და რომელიც უკვე მზადდებოდა: „საქმე ეხება ჩვენს ნამდვილ ალიანსს და არა ისეთს, როგორიც პიერ ლავალის დროს იყო“, – თქვა მან. შემდეგ ჩვენ ორივე დიდხანს ვსაუბრობდით. ჩემს მილოცვაზე რუსეთის არმიის წარმატებებთან დაკავშირებით (უკრაინის მესამე ფრონტის ჯარების სარდლის მარშალ ფედორ ტოლბუხინის მეთაურობით წითელი არმიის ნაწილები უნგრეთის ტერიტორიაზე შევიდნენ და წინ მიიწევდნენ). სტალინი შემეპასუხა: „ჯერ მხოლოდ რამდენიმე ქალაქი დავიკავეთ, ჩვენ გვჭირდება ბუდაპეშტი, ვენა და ბერლინი!“. ზოგჯერ იგი ხუმრობდა ხოლმე: „ალბათ, თქვენთვის რთული იქნება ისეთი ქვეყნის მართვა, როგორიც საფრანგეთია... ფრანგი ხალხი ძალიან მოუსვენარი და დაუდეგარია!“.

„დიახ, – ვპასუხობდი, – თუმცა თქვენგან მართვის მაგალითს ვერ ავიღებ, თქვენ ხომ სწორუპოვარი, შეუდარებელი ხართ“.

საუბრის დროს სტალინმა მორის ტორეზი (საფრანგეთის კომპარტიის ლიდერი) ახსენა, რომელსაც ჩვენ პარიზში დაბრუნების ნება მივეცით. ჩემს უკმაყოფილო დუმილზე მარშალმა შენიშნა: „არ გეწყინოთ ჩემი კადნიერი ნათქვამი. უბრალოდ მინდა გითხრათ, რომ ტორეზს დიდი ხანია ვიცნობ და, ჩემი აზრით, ის კარგი ფრანგია. თქვენს ადგილზე რომ ვიყო, მას (იდეების გამო) ციხეში აღარ ჩავსვამდი“. შემდეგ კი ღიმილით დაამატა: „ყოველ შემთხვევაში, ცოტა ხანს მაინც დავაცდიდი!“.

„საფრანგეთის მთავრობა, – ვუპასუხე სტალინს, – ფრანგებს იმის მიხედვით ექცევა, როგორც ისინი იქცევიან და როგორც მათგან არის მოსალოდნელი“.

* * *

**მასპინძლებმა შესაძლებლობა მოგვცეს, მოსკოვის დიდ თეატრში საბალეტო სპექტაკლით აღფრთოვანებულიყავით. გარდა ამისა, ჩვენს საპატივსაცემოდ სპირიდონოვკაზე დიდი წვეულებაც გაიმართა, რომელზეც ბევრი სახალხო კომისარი შეიკრიბა, მაღალი რანგის ჩინოვნიკები, გენერლები, მათი ცოლები და მოსკოვში აკრედიტებული ყველა უცხოელი ელჩი, აგრეთვე მოკავშირეთა სამხედრო მისიების ოფიცრები.**

ჩვენ ასევე წაგვიყვანეს წითელი არმიის ოფიცერთა სახლში, სადაც ხალხური ცეკვებისა და სიმღერების შთამბეჭდავი კონცერტს დავესწა- **რებდა,** ან როცა გერმანული იარაღის ტროფეი ვნახეთ. მოლოტოვი არ გამოგვყოლია მოსკოვის მეტროში ჩასვლის დროსაც, როცა სხვადასხვა ქარხნებში ვიყავით, ჰოსპიტლებში და რადისტთა სკოლაში.

მოსკოვის გაყინულ ქუჩებში გასვლისას ხალხს ვაკვირდებოდი, თუ როგორ მდუმარედ და თავიანთ ფიქრებში ჩაძირულნი მიაბიჯებდნენ გამვლელები. ამასთან, შეგვექმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ იმ რუსებს, რომლებთანაც ურთიერთობის შესაძლებლობა გვქონდა – ჩვეულებრივ მოქალაქეებს თუ ელიტის წარმომადგენლებს – ძალიან სურდათ გამოეხატათ ჩვენდამი სიმპათია, თუმცა მაინც თავს იკავებდნენ გრძნობების გამოვლენაზე, ალბათ, რომელმაც გერმანელებისაგან დევნის გამო 1941 წელს თავი რუსეთს „შეაფარა“, ზედიზედ წარმომიდგინა სტუმრები და გამაცნო. ისე გამოვიდა, რომ ჩვენ საელჩოში მთელი ოფიციალური მოსკოვი შევკრიბეთ. ყველას საუბარში გარეგნულად გულახდილობა მოჩანდა, თუმცა შეკრებილ საზოგადოებაში მაინც რაღაც ბუნდოვანი შეშფოთება შეიმჩნეოდა – თითქოსდა ადამიანები საკუთარ „მე“-ს შეგნებულად მალავდნენ.

ამასობაში კი ხელშეკრულების (პაქტის) მომზადება გარკვეული გართულებებით მიმდინარეობდა. კაცმა რომ თქვას, ყველა წვრილმანი უთანხმოება შეიძლებოდა ერთ წუთში ჟორჟ ბიდოსა და ვიაჩესლავ მოლოტოვს შორის მოგვარებულიყო, მაგრამ საბჭოთა მხარე ნელ-ნელა ცდილობდა, ჩვენთან ვაჭრობა დაეწყო. რუსები ჯერ შეეცადნენ ზეწოლა მოეხდინათ და ხელშეკრულების სამომავლო რატიფიკაციის საკითხი წამოსწიეს: „იმის გათვალისწინებით, რომ თქვენი მთავრობა დროებითი სტატუსით სარგებლობს, ვის აქვს პაქტის რატიფიცირების უფლება?“, – ჰკითხა მოლოტოვმა დეჟანს, შემდეგ კი ბიდოს. საბოლოოდ, როცა საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრი ჩემთან საუბრობდა, მის ეჭვები გავფანტე: „თქვენ ხომ მსგავსი ხელშეკრულება ედუარდ ბენეშთანაც გააფორმეთ. მისი მთავრით. ყველა ამგვარი ღონისძიებების დროს ვიაჩესლავ მოლოტოვი ხშირად თან დაგვყვებოდა, იგი ყოველთვის ზუსტი იყო თავის გამოთქმებში და უკიდურეს სიფრთხილეს იცავდა იმ დროს, როცა საკითხების არსს ეხებოდა. არცთუ იშვიათად იგი ცოტა ხნით გვტოვებდა ხოლმე, მაგრამ თანხმლებ პირს ჩვენთან აუცილებლად ტოვებდა. მაგალითად, ასე იყო, როცა ჩვენ წმინდა ლუდოვიკოს ეკლესიაში (მოსკოვში მოქმედ ერთადერთ კათოლიკურ ტაძარში) წირვას ვესწრებოდით, ან როცა ვორობიოვის გორაზე წავედით, საიდანაც **ნაპოლეონ ბონაპარტი (1812 წელს) მოსკოვს უყუ**



**შარლ დე გოლის ძეგლი მოსკოვში.**

**მოქანდაკე – ზურაბ წერეთელი.**

**გაიხსნა 2005 წლის 9 მაისს რუსეთისა და საფრანგეთის პრეზიდენტების - ვლადიმერ პუტინისა და ჟაკ შირაკის მიერ.**

**ძეგლი პოსტამენტზე დგას შარლ დე გოლის სახელობის მოედანზე, სასტუმრო „კოსმოსის“ წინ და ითვლება რუსეთ-საფრანგეთის მეგობრობის სიმბოლოდ.**

გარკვეული აკრძალვების გამო.

ჩვენ, ფრანგები, ჩვენი მხრიდან ვცდილობდით, რომ მეგობრული აღფრთოვანება გამოგვეხატა გმირული სულის მქონე დიდი რუსი ხალხის მიმართ და ამისათვის ყველა შესაძლებლობას ვიყენებდით სხვადასხვა შეხვედრებისა თუ საოქმო ღონისძიებების დროს. საელჩოში სადილი მოვუწყეთ ინტელიგენციის – მწერლებისა და პოეტების – მთელ კოჰორტას, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებამ წარმოგვიდგინა როგორც „საფრანგეთის მეგობრები“, მათ შორის იყვნენ ვიქტორ ფინკი და ილია ერენბურგი – ტალანტიური ადამიანები, თუმცა ისინი თავიანთ ტალანტს მხოლოდ კონკრეტული მიმართულებით აჩვენებდნენ. სხვათა შორის, მოწვეულთა შორის იმყოფებოდა გრაფი ალექსი იგნატიევი* – გენერალი, რომელიც პარიზში, რუსეთის მეფის დროინდელ საელჩოში სამხედრო ატაშედ მუშაობდა. მოხუცებულობის ასაკის მიუხედავად, წლები არ ეტყობოდა, სამხედრო ფორმა საოცრად კარგად ადგა ტანზე, ბრწყინავდა დიდგვაროვნის მანერებით, თუმცა, როგორც შევატყვე, მაინც მორიდებულად იქცეოდა.

ჟან-რიშარ ბლოკმა, ერთ-ერთმა ფრანგმა ანტიფაშისტმა,

რობაც, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, დროებითია. გარდა ამისა, იგი პრაღის ნაცვლად ლონდონში იმყოფება, ჩვენ კი ჩვენს დედაქალაქში, პარიზში ვმუშაობთ“. ამის შემდეგ რატიფიკაციასთან დაკავშირებით კითხვა აღარ წამოჭრილა.

რაც შეეხება მოსკოვის სამომავლო მოქმედებას, ჩვენ ძალიან გვაინტერესებდა პოლონეთის საკითხი და ველოდებოდით, რომ რუსები გვეტყოდნენ, რა ჰქონდათ განზრახული, როცა მათი ჯარები ვარშავაში შევიდოდნენ. დადგა ნამდვილი დავა-კამათის დღე. 6 დეკემბერს, კრემლში შეხვედრის დროს, გადავწყვიტე იოსებ სტალინთან პირდაპირ მესაუბრა პოლონეთზე. ჩემთან ერთად იყვნენ **ბიდო, გარო და დეჟანი, სტალინთან კი მოლოტოვი, ბოგომოლოვი და თარჯიმანი პოდზეროვი,** რომელიც მშვენივრად თარგმნიდა.

**საუბრის დაწყებისას სტალინს გავახსენე, რომ საფრანგეთს ყოველთვის სურდა პოლონეთის დამოუკიდებლობა და ყველანაირად მხარს უჭერდა მის სუვერენიტეტს. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჩვენ მნიშვნელოვნად ხელი შევუწყეთ პოლონეთის აღორძინებას.**

იხ. 8 გვ.



**ალექსი იგნატიევი (1877–1954) – პარიზში რუსეთის საელჩოს სამხედრო ატაშე. 1917 წლის შემდეგ იგი საფრანგეთში რუსული ემიგრაციის ხელმძღვანელი იყო. 1920-იან წლების დასაწყისში, როცა რუსეთში შიმშილობამ იფეთქა, მან საბჭოთა მთავრობას საფრანგეთში მყოფ ემიგრანტებს შორის შეგროვებული 225 მილიონი ფრანკი გადასცა ოქროთი. მოგვიანებით, 1937 წელს საბჭოთა კავშირში დაბრუნდა და წითელი არმიის ოფიცერი გახდა. გენერალმა იგნატიევმა 1943 წელს წამოაყენა იდეა წითელი არმიისათვის კადეტთა სამხედრო სკოლების ჩამოყალიბების თაობაზე. იოსებ სტალინმა იდეა მოიწონა და მისი წინადადებით, სამხედრო სკოლებს „სუვოროველთა სკოლები“ ეწოდა.**

**გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ 2026 წლის №26-27**

**ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას მიმდინარე წლის 10 მარტს დაბადებიდან 90 და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 60 წელი უსრულდება.**



## ნოდარ ჭითანავა 90 წლისაა

# სახელი, რომელიც ეპოქებს უკავშირდება

**ნოდარ ჭითანავა დაიბადა 1936 წლის 10 მარტს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაშში. 1954 წელს წალენჯიხის საშუალო სკოლის ვერცხლის მედალზე დამთავრებისთანავე სწავლა განაგრძო საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სპეციალობით სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა, რომლის დამთავრების შემდეგ მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.**

1968 წელს წარჩინებით დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლა (შემდგომში საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია) ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის განხრით. 1970 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1993 წელს სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ თემაზე: **„ეკონომიკური, ორგანიზაციული და მმართველობითი ურთიერთობანი საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში“**, მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1994 წელს აირჩიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1995 წელს – აკადემიის ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად. 2004 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება (08.00.09. მაკროეკონომიკა, რეგიონული ეკონომიკა).

მდიდარია ბატონ ნოდარ ჭითანავას ბიოგრაფია. იგი შრომით საქმიანობას იწყებს კოლმეურნედ, სამშენებლო ბრიგადის ბრიგადირად. 1959 წლიდან მუშაობს კომკავშირულ და პარტიულ თანამდებობებზე: კომკავშირის ზუგდიდის რაიკომის ინსტრუქტორი, მეორე მდივანი, პირველი მდივანი; პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანი; ზუგდიდის სამრეწველო ზონის პარტკომის მდივნის მოადგილე; პარტიისცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების ინსტრუქტორი; პარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი.1973-1974 წლებში იყო საქართველოს კპ აჭარის საოლქოკომიტეტის მეორე მდივანი; 1974-1979 წლებში – საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი, 1979-1985 წლებში – საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველიმოადგილე, 1985-1989 წლებში – საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ხოლო 1989-1990 წლებში – საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1991-1992 წლებში, საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის მინისტრია; 1990-1991 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი.

ნოდარ ჭითანავას ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი).

აღსანიშნავია ისიც, რომ ბატონი ნოდარი არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 8 წლის განმავლობაში (ორი მოწვევა) იყო ამავე საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ნოდარ ჭითანავა სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან ერთად წარმატებით ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას. 1993-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად, ხოლო 2005 წლიდან ეწევა პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

ფართო და მრავალფეროვანია ნოდარ ჭითანავას სამეცნიერო მოღვაწეობა. მისი კვლევები ეხება ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს, როგორებიცაა გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაცია, საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარება, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მიწის რესურსების რაციონალურად და ეფექტურად გამოყენება, საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენების თავისებურებები და სხვა.

**ნოდარ ჭითანავამ შეიმუშავა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში აგროსამრეწველო კომპლექსის ორგანიზაციულ-ეკონომიკური და მმართველობითი ურთიერთობების ფორმირებისა და სრულყოფის კონცეფცია. ეს და სხვა პრობლემები განხილულია მის მონოგრაფიებში:**

**„საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები“;**

**„გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“;**

**„სოციალური ეკონომიკა“ (თანაავტორობით);**

**„საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები“;**

**„საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია“;**

**„გლობალური გამოწვევები ერთპოლოუსიან მსოფლიოში“ და სხვ.**

ნოდარ ჭითანავამ საკუთარ თავზე გამოსცადა ორი ეპოქის: საბჭოთა იმპერიისა და დამოუკიდებელი საქართველოს ინტერესების შეჯახების „ხილული“ და „უხილავი“ პროცესების ზემოქმედების ძალა. ორივე ეპოქაში თანაბარი პასუხისმგებლობით,სიყვარულით და ერთგულებით ემსახურა სამშობლოს. იგი ფაქტობრივად არის „ხიდი“ წარსულსა და მომავალს შორის. შემთხვევით კი არ ეძახიან კოლეგები სახელმწიფოებრივი აზროვნების „უკანასკნელ მოჰიკანს“, „ცოცხალ არქივს“. იგი არის კარგი მაგალითი, თუ როგორ შეიძლება ადამიანმა შეინარჩუნოს აკადემიური პატიოსნება და სახელმწიფოებრივი ხედვა მიუხედავად იმისა, თუ როგორია პოლიტიკური ძალების კონფიგურაცია ქვეყანაში.

მისი მოღვაწეობის გამოკვეთილი სტილია: „ეკონომიკური პატრიოტიზმი“, რომელსაც იგი თვლის, როგორც სახელმწიფოებრივ აზროვნებას ეკონომიკაში, სადაც ბაზარი კი არ მართავს ქვეყანას, არამედ სახელმწიფო იყენებს საბაზრო ეკონომიკას მთელი საზოგადოების კეთილდღეობისათვის. მისთვის აგრარული კომპლექსი „ეკონომიკური პატრიოტიზმის გულია“ და ქვეყნის სუვერენიტეტის საფუძველი. რომ ეკონომიკა არ არის მხოლოდ ბაზრის მექანიზმების ერთობლიობა – იგი სოციალურ-სივრცითი სისტემაა, თავისი გენეტიკური კოდით.

ნოდარ ჭითანავას სახელმწიფოებრივი და სამეცნიერო მოღვაწეობა ხასიათდება ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკული გამოცდილების ერთიანობით, ეროვნული ინტერესების ორიენტაციის და ეკონომიკური განვითარების სისტემური ხედვით.

ნოდარ ჭითანავას სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა უხდებოდა საქართველოს უახლესი ისტორიის გარდამტეხ პერიოდში, როცა ქვეყანა საბჭოთა იმპერიიდან გამოსვლისა და დამოუკიდებლობის გზას ადგა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1989-1990 წლებში ნოდარ ჭითანავას ინიციატივით საქართველოს მინისტრთა საბჭოს იმ საკვანძო დადგენილებებს, რომლებიც დემოგრაფიული მდგომარეობის გაჯანსაღებას ითვალისწინებდა. იმ დროს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა **დემოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.** მომავლისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური და მორალური მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმის გამოყენების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

განუზომელია ბატონი ნოდარ ჭითანავას როლი 1990 წლის 12 აპრილის საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს მიერ N183-ე დადგენილების – **„რელიგიის საქმეთა საკითხების“** შესახებ მიღებასთან დაკავშირებით. აღნიშნული დადგენილება, რომელსაც თავად ბატონი ნოდარი აწერდა ხელს, არ იყო უბრალოდ „კიდევ ერთი საბჭოთა დოკუმენტი“ – ეს იყო გაბედული პოლიტიკური ნაბიჯი, რომელმაც იურიდიულად დააკანონა ის, რაც ფაქტობრივად უკვე ხდებოდა ეროვნული მოძრაობის ფონზე, და საფუძველი ჩაუყარა ეკლესიისა და სახელმწიფოს თანამედროვე ურთიერთობებს. ეს იყო გარდამავალი პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება რელიგიის სფეროში.

ეს დადგენილება იყო ფუნდამენტი, რაზეც 90-იან წლებში ქართული ეკლესიის სიმტკიცე დაშენდა და ამით ეკლესიას შეექმნა ეროვნული კონსოლიდაციისთვის საჭირო რესურსი, რაც დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე გადამწყვეტი ფაქტორი გახდა.

ნოდარ ჭითანავა იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც მიზანმიმართულად დაიწყო მუშაობა საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის პრობლემებზე. მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა სპეციალისტთა ჯგუფმა 1990 წელს მოამზადა ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფცია, რომელიც დაამტკიცა საქართველოს უმაღლესმა საბჭომ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს 1990 წლის მარტში საქართველოს უმაღლესი საბჭოს (საბჭოთა ორგანო)მიერ **„საქართველოს ოკუპირებულ და ანექსირებულ ქვეყნად აღიარების შესახებ“** – გადაწყვეტილების მიღებაში მაშინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობის როლი (ნოდარ ჭითანავა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო).

საბჭომ გადადგა უპრეცედენტო ნაბიჯი. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში წითელი არმიის შემოსვლას მისცა აგრესიის კვალიფიკაცია, საქართველო აღიარა ოკუპირებულ და ანექსირებულ ქვეყნად და გააუქმა ყველა ძირითადი საკანონმდებლო აქტი, რომელიც 1921 წლის შემდეგ იყო მიღებული.

საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტის მოპოვებისათვის ბრძოლაში ერთ-ერთ პირველ ნაბიჯად ითვლება 1990 წელს საქართველოს მინისტრთა საბჭოს ისტორიული დადგენილება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დაფუძნებისა და მისი სტრუქტურის განსაზღვრის შესახებ. ამ გადაწყვეტილებით საქართველომ თავისთავზე აიღო ქვეყნის აგრარულ-სამრეწველოკომპლექსის მეცნიერული მართვის ფუნქცია.

დღესაც აკადემიასთან არის დაკავშირებული ნოდარ ჭითანავას მოღვაწეობა. იგი არის პრეზიდიუმის წევრი-მრჩეველი და სამეცნიერო მიმართულებების კოორდინატორი. ენერგიულად და მიზანმიმართულად მონაწილეობს ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარების მეცნიერული საფუძვლების განსაზღვრაში, აკადემიის წარმმართველი როლის გაძლიერებაში. იძლევა შრომის, მაღალი პასუხისმგებლობის, კვლევაში სიახლეების გამოყენების, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მასშტაბური ხედვის, ჯერ კიდევ გამოუყენებელი რესურსების კომპლექსურად და დაჩქარებით ამოქმედების შესაძლებლობების ძიების მისაბაძ მაგალითს. ნოდარ ჭითანავა პიროვნება – სახელმწიფო მოღვაწე – მეცნიერი კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორი ერთგულებით უნდა ემსახურებოდეს თანამედროვე მამულიშვილი მშობლიურ მიწა-წყალს, აცნობიერებდეს პასუხისმგებლობას, რომ სამშობლოს იდენტობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება-განმტკიცება ყველა დროის ქართველის სისხლხორცეული მოვალეობაა.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას ამ ღირსშესანიშნავ თარიღებს – დაბადებიდან 90 და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 60 წელს, უსურვებს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**

## „განათლებისა და მეცნიერების შესახებ“ ახალი კანონპროექტი სრულყოფილი იქნება

**„განათლებისა და მეცნიერების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონპროექტის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გივი მიქანაძემ მიიღო,** – ინფორმაციას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.



მათივე ცნობით, როგორც **გივი მიქანაძემ** აღნიშნა, ამ ეტაპზე განათლებისა და მეცნიერების სფეროსთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს 7-ზე მეტი საკანონმდებლო აქტი არეგულირებს, რაც სამუშაო პროცესს როგორც სტრუქტურულად, ასევე შინაარსობრივად მოუქნელს და ხარვეზიანს ხდის. მინისტრის თქმით, ახალი ინიციატივა სწორედ ისეთი კანონპროექტის შექმნას გულისხმობს, რომელიც სფეროს მარეგულირებელი ძირითადი საკანონმდებლო აქტების კონსოლიდაციას ერთიან სამართლებრივ ჩარჩოში მოახდენს.

**„სამუშაო ჯგუფს, რომელიც უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის ფარგლებში საქართველოს მთავრობის ინიციატივით შეიქმნა, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ზვიად გაბისონია ხელმძღვანელობს. სპეციალური ჯგუფის წევრები არიან აღმასრულებელი, საკანონმდებლო და აკადემიური წრეების წარმომადგენლები და შესაბამისი სფეროს ექსპერტები“.**

საქართველოს რესპუბლიკა



# თაობებისთვის სამაგალითო მამულიშვილი

**ღირსეული ადამიანის გვერდით ყოფნა ყოველთვის განსაკუთრებულ გრძნობებს უკავშირდება. ეს არის ერთდროულად სითბო, მადლიერება, უამრავი მოგონება და ერთად განვლილი გზა. გზა, რომელმაც შემახვედრა ბატონი ნოდარ ჭითანავა — ადამიანი, რომლის ღირსება, ადამიანობა და მეგობრობა ჩემთვის ძვირფასია...**

**აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა არის გამოჩენილი ქართველი ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე. მისი მასშტაბური აზროვნება და რეალური დამოკიდებულება საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების და ურთულესი პროცესების მიმართ, ყოველთვის იყო და დარწმუნებული ვარ, იქნება ყურადსაღები და მისაღები. ჩემთვის, როგორც მისი გამორჩეული მეგობრისთვის მართლაც რომ საამაყოა ნოდარ ჭითანავას ზემაღალი ერუდიცია, უგადლო ნიჭი, განვლილი გზა, გაკეთებული საქმე, თავგანწირვა და ათას ქარტეხილს გამორიდებული უმწიკლო, უმდიდრესი ბიოგრაფია... მის კარიერულ წინსვლას მუდმივად ახლდა თავდაუზოგავი შრომა, ტოლუკოვარი კვალიფიკაცია და უგადლო კომპეტენცია.**

მცირესა თუ უდიდეს სამსახურს თანაბრად მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ბატონი ნოდარი. მოვლენების უზადო შეფასების, მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტის თანდაყოლილიილი უნარის წყალობით, წარმატებულად გაიკვლია აღმავალი გზა სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში და ყველაზე ურთულეს დროს – ეროვნული მოძრაობის აღზევების, საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარირებისა და ახალი სახელმწიფოებრივი საფუძვლების ჩამოყალიბების ეტაპზე მოუწია ყოფილიყო ქვეყნის უმაღლესი აღმასრულებელი ინსტიტუციის – მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

დიდია ბატონი ნოდარის წვლილი დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენასა და აღმშენებლობაში. მან როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერმა, გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისკენ სწრაფვაში.

სახელმწიფო სტრუქტურებში საქმიანობის წარუშლელ კვალსა და დამსახურებებთან ერთად, ფასდაუდებელია ბატონი ნოდარ ჭითანავას ინტელექტუალური საგანძური – სამეცნიერო მოღვაწეობა. იგი როგორც 150-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი (მათ შორის 15 მონოგრაფია), ქვეყნის ბედსა და მომავალზე ღრმად დაფიქრებული მამულიშვილი, ნოვატორი მეცნიერი, თავისი თავდადებული შრომით, უნიკალური გამოცდილებით და აქტიური, ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში.

* * *

**ჩვენი მეგობრობა ურთიერთპატივისცემაზე, ერთმანეთზე ზრუნვასა და გულწრფელ მხარდაჭერაზეა დაფუძნებული.**

ბატონი ნოდარი ჩემთვის არის ადამიანი, ვისი სიტყვაც არა მხოლოდ რჩევა, არამედ ერთგვარი ძალაა. მისმა მხარდაჭერამ და კეთილმა რჩევამ მნიშვნელოვანი მიმართულება მისცა ჩემს ცხოვრებას. სწორედ მისი წახალისებით გადავწყვიტე 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში სენაკის მაჟორიტარ დეპუტატად კანდიდატურის დაყენება. იმ დროს რიგით 22-ე ვიყავი, თუმცა ხალხის ნდობითა და ხმების 85 პროცენტით გავიმარჯვე – ეს შედეგი დღეს ჩემთვის კიდევ უფრო ძვირფასია, რადგან ის ჩემი საუკეთესო მეგობრის, ბატონი ნოდარის რწმენასა და მხარდაჭერას უკავშირდება.

ბატონი ნოდარის რჩევა ყოველთვის გულწრფელი, გააზრებული და მომავალზე ორიენტირებულია.

2001 წელს მისი რჩევითვე დავიწყე სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობა და დავიცავი დისერტაცია თემაზე: **„სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ეკონომიკური და ფინანსური პოტენციალის გამოყენებისა და განვითარების პერსპექტივები“**

აღსანიშნავია, რომ ბატონ ნოდარს ქართულ, მშობლიურ მიწასთან განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს. მისთვის მიწა მხოლოდ ეკონომიკური რესურსი არ არის – იგი მას აღიქვამს როგორც უფლისგან ნაბოძებ უდიდეს სიმდიდრეს, რომელსაც მოვლა, პატივისცემა და გაფრთხილება სჭირდება. ჩემთვის არაერთხელ უთქვამს, რომ მშობლიურ სოფელ ჭკადუაში დაბრუნება და იქაურ მიწასთან ურთიერთობა მისთვის განსაკუთრებული შინაგანი სიმშვიდის მომტანია, იქ უფრო ახლოს გრძნობს საკუთარ ფესვებს.

სწორედ ამ დამოკიდებულებამ და ღრმა ცოდნამ აქცია იგი აგრარულ პოლიტიკაში ერთ-ერთ გამორჩეულ და ავტორიტეტულ პიროვნებად. იგი განთქმულია თავისი ჯანსაღი ხედვით, გამოცდილებითა და ქვეყნის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განვითარებისადმი ერთგული დამოკიდებულებით. მისთვის ეს სფერო მხოლოდ პროფესია არ არის – ის არის საქმე, რომელსაც გულით ემსახურება და რომელშიც საკუთარი ქვეყნის მომავლის მნიშვნელოვან საფუძველს ხედავს.

ბატონი ნოდარი გამორჩეული ადამიანია თავისი მრწამსით, ცხოვრებისეული თვისებებითა და პრინციპებით: როგორც ჭეშმარიტი პატრიოტი, როგორც მეცნიერი, როგორც მაღალი დონის საჯარო მოხელე და მენეჯერი, როგორც უმწიკვლო საზოგადო მოღვაწე, როგორც პედაგოგი, მრავალი თაობის აღმზრდელი და დამკვალიანებელი!

მისი ცხოვრების გზა არის სახელმწიფოებრივ აზროვნებასთან ჰარმონიულად შერწყმული ნიჭის და გამოცდილების განსახიერება, ცოცხალი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო ერს, სამშობლოს, როგორი რუდუნებითა და ერთგულებით აკეთო საზოგადო საქმე, იყო მასშტაბურად მოაზროვნე და გამორჩეული.

ვინც ახლოს იცნობს ბატონ ნოდარს, ვინც დაკვირვებია მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის სტილს, არ გაუჭირდება შენიშნოს კრეატიულობის საოცრად მომადლებული ნიჭი, რომელიც ყველგან გაბრწყინდა: ქვეყნის განვითარებაში, ადამიანურ ურთიერთობებში, მშობლიური მიწა-წყლისადმი სიყვარულში, ნიჭიერი ახალგაზრდობის მხარდაჭერაში, იმათ აღზრდაში...

ჩემთვის დიდი პატივია, ვიყო მისი მეგობარი.

* * *

**ბატონო ნოდარ, გულითადად გილოცავთ თქვენს 90 წლის იუბილეს! ასაკი მხოლოდ წლების რაოდენობა არ არის – ეს არის დიდი ცხოვრებისეული გზა, სიბრძნით, გამოცდილებითა და ღირსებით გავლილი წლები.**

თქვენ იმ იშვიათ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნით, რომლებიც არა მხოლოდ საკუთარ გზას გადიან ღირსეულად, არამედ სხვებსაც აძლევენ ძალას, იპოვონ საკუთარი გზა.

ჩემთვის თქვენ არა მხოლოდ გამორჩეული პიროვნება ხართ, არამედ კეთილი მეგობარი, ბრძენი მრჩეველი და ადამიანი, რომლის სიტყვასაც განსაკუთრებული ძალა აქვს. თქვენი მხარდაჭერა და რჩევა ჩემთვის ყოველთვის დიდი მნიშვნელობის მატარებელია.

გისურვებთ ჯანმრთელობას, სულის სიმშვიდეს, ნათელ და მადლით სავსე წლებს. თქვენი სიბრძნე, ადამიანობა და სიყვარული მშობლიური ქვეყნისა და მიწისადმი მუდამ მაგალითი იქნება დღევანდელი და მომავალი თაობებისთვის.

**დიდი პატივისცემითა და მეგობრული სიყვარულით გილოცავთ ამ ღირსეულ იუბილეს!**

**დემურ გადელია,**
სს „არქეოპოლისის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.



# ეროვნული გმირის იდეა აღსრულდება!



**გიორგი ჯინჭარაძე:**

## დარწმუნებული ვარ, რომ ის იდეა, რომლის გამოც თავი გაწირა ჟიული შარტავამ, აღსრულდება, ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით აფხაზეთში!

**საქართველოს ეროვნულ გმირს ჟიული შარტავას 7 მარტს 82 წელი შეუსრულდებოდა.**

ამ დღესთან დაკავშირებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **გიორგი ჯინჭარაძემ**, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის რწმუნებულ **დავით ვერავასთან**, აფხაზეთის მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ზუგდიდში, საქართველოს ეროვნული გმირების პარკში, ჟიული შარტავას ბიუსტი ყვავილებით შეამკო და მის ხსოვნას პატივი მიაგო. ინფორმაციას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავრცელებს.

**„დღეს პატივი მივაგეთ ჟიული შარტავას ხსოვნას. ეს იყო ადამიანი, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე მიუძღვნა სამშობლოს, მიუძღვნა აფხაზეთს. მისი თავგანწირვა, მისი თავდადება არის მაგალითი თუ როგორ უნდა იცხოვროს ქართველმა ადამიანმა.**

**დარწმუნებული ვარ, რომ ის იდეა, რომლის გამოც თავი გაწირა ჟიული შარტავამ, იქნება აღსრულებული, ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით აფხაზეთში და საქართველო იქნება ერთიანი, თავისუფალი და ძლიერი“**, – განაცხადა **გიორგი ჯინჭარაძემ.**

საქართველოს ეროვნული გმირი ჟიული შარტავა 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემის დღეს დახვრიტეს. 2004 წელს მას ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.

# სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების რეფორმამ გაამართლა!

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს „არმიპოლში“ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს დაარსების დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონია გაიმართა,** – ინფორმაციას საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, სააგენტოს თანამშრომლებს სიტყვით მიმართა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ **გრიგოლ გიორგაძემ**. მისი განცხადებით, რეფორმის ფარგლებში სააგენტომ საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოს ინტერესებზე მორგებულ ეფექტიან სისტემას და შეცვალა წლების განმავლობაში მოქმედი გაწვევის მოძველებული მოდელი. მინისტრის მოადგილემ წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში ნებაყოფლობით ჩართულობის მსურველთა მზარდი რაოდენობა ხაზგასმით აღნიშნა. გრიგოლ გიორგაძის განცხადებით, წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახური მაღალი მზადყოფნის მქონე რეზერვის მყარ საფუძველს ქმნის. მან სააგენტოს თანამშრომლებს გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ რეზერვის სისტემის განვითარებისთვის მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება.

პირად შემადგენლობას სიტყვით მიმართა თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილემ, გენერალ-მაიორმა **ირაკლი ჭიჭინაძემ**. მისი განცხადებით, სააგენტომ თავდაცვის ძალების გაძლიერებისა და სისტემური განვითარებისთვის გზაზე მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია.

**საზეიმო ცერემონიაზე სამხედრო მოსამსახურეები უწყებრივი მედლებით – „სამშობლოსათვის თავდადებული“ და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.**





## შარლ დე გოლი:

# სტალინი მარტო წარსულს არ ეკუთვნის, ის მომავლის ისტორიის შემქმნელიც არის!

(მეხუთე გვერდიდან)

რა თქმა უნდა, ვარშავის მიერ 1930-იან წლებში გატარებული საგარეო პოლიტიკა, განსაკუთრებით საგარეო საქმეთა მინისტრის **იუზეფ ბეკის** მიერ, არ გვაკმაყოფილებდა და საბოლოო ჯამში, მან ჩვენთან ურთიერთობა საფრთხის ქვეშ დააყენა და ეს ყველაფერი ნეგატიურ გავლენას ახდენდა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთდამოკიდებულებაზეც. თუმცა ჩვენ აუცილებლობად ვთვლიდით, რომ პოლონეთი ისევ გამხდარიყო საკუთარი „ბედის მჭედელი“ და მეგობრული ყოფილიყო როგორც საფრანგეთთან, ისე რუსეთთანაც.

მზად ვიყავით, რომ ამ მხრივ ჩვენი გავლენა გამოგვეყენებინა პოლონელებზე ზეწოლის მოსახდენად. ამის შემდეგ გადავედი პოლონეთის საზღვრების საკითხზე და ვთქვი, საზღვრები ისეთნაირად, როგორიც სტალინმა მონიშნა, ანუ „კერზონის ხაზით“ აღმოსავლეთში, ხოლო დასავლეთში – „ოდერ-ნოისეთი“, ჩვენ მიუღებლად ვთვლით. გავიმეორე, რომ ჩვენი თვალსაზრისით, პოლონეთი რეალურად უნდა გახდეს დამოუკიდებელი ქვეყანა – მომავალი მთავრობის თავისუფლად არჩევის უფლება მხოლოდ პოლონელი ხალხის პრეროგატივას წარმოადგენს. იმ დროს საფრანგეთი მხარს უჭერდა პოლონეთის ემიგრანტულ მთავრობას ლონდონში, რომელიც გერმანელ ნაცისტებთან ბრძოლას არ წყვეტდა. თუ საფრანგეთი ოდესმე რაიმეს შეცვლიდა თავის პოლიტიკაში პოლონეთის მიმართ, ეს მოხდებოდა მხოლოდ სამივე მოკავშირის თანხმობით.

აიღო რა სიტყვა, მარშალი სტალინი გაცხარდა. იგი ლაპარაკობდა საკმაოდ ხმამაღლა, მძაფრად და მჭევრმეტყველად. იგრძნობოდა, რომ „პოლონეთის საკითხის“ მის პოლიტიკაში ცეტრალური ადგილი ეკავა და გულთან ახლოს მიჰქონდა. მან განაცხადა, რომ რუსეთმა ბოლო დროს მკვეთრად შეცვალა თავისი დამოკიდებულება პოლონეთის მიმართ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში რუსეთის მტერი იყო, ახლა კი მოსკოვი ვარშავას მეგობრულ ურთიერთობას სთავაზობს. მაგრამ ამისათვის აუცილებელია, რომ პოლონეთმა გარკვეული პირობები შეასრულოს.

**„პოლონეთი,** – ამბობდა იოსებ სტალინი, – **ყოველთვის დერეფანი იყო გერმანიისთვის რუსეთზე თავდასასხმელად. ეს დერეფანი უნდა გადაიკეტოს და ეს თვითონ პოლონეთმა უნდა გააკეთოს“.** ამ მიზნის მისაღწევად მისი დასავლეთი საზღვრების გადაწევა მდინარეებზე ოდერზე და ნოისეზე გადამწყვეტი იქნებოდა და იმ მომენტიდან პოლონური სახელმწიფო ძლიერი და „დემოკრატიული“ გახდებოდა, რადგან, როგორც თვითონ მარშალმა განაცხადა, **„სახელმწიფო არ შეიძლება ძლიერი იყოს, თუ ის დემოკრატიული არ იქნება“.**

სტალინი თავდაპირველად შეეხო პოლონეთის მთავრობის საკითხს, რომელიც ვარშავაში უნდა ყოფილიყო. იგი მკვეთრად ლაპარაკობდა და როგორც შევატყვე, მისი სიტყვები სიძულვილით იყო გაჟღენთილი ლონდონში მყოფი ემიგრანტული მთავრობის მიმართ. სამაგიეროდ, პოზიტიურად საუბრობდა „ლიუბლიანის კომიტეტზე“, რომელიც კომუნისტების მიერ იყო შექმნილი და ამტკიცებდა, რომ პოლონელებს მხოლოდ ასეთი მთავრობა სურთ და ელოდებიან.

მარშალი ცდილობდა ეს არჩევანი პოლონელი ხალხის განწყობით დაესაბუთებინა, მაგრამ მის საუბარში აშკარად მიკერძოება ჩანდა. პოლონელები იმ ძალაში, რომელიც მათ ქვეყანას დამპყრობლებისაგან გაათავისუფლებს, ლონდონში მყოფი რეაქციულ ემიგრანტულ მთავრობას და ანდერსის* არმიას ვერ ხედავენ. პირიქით, ისინი მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის მიერ შექმნილ „პოლონეთის ეროვნული გათავისუფლების კომიტეტს“ და გენერალ ზიგმუნდ ბერლინგის არმიას, რომელიც ანდერსის არმიის სანაცვლოდ შეიქმნა.



**სიმონ კილაძე.**

(გაგრძელება იქნება)



**ვლადისლავ ანდერსი (1892-1970) – პოლონეთის არმიის გენერალი. სამხედრო განათლება მიიღო რუსეთის სამხედრო სასწავლებლებში, აქტიურად მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში გერმანელების წინააღმდეგ, რისთვისაც დააჯილდოვეს და სწავლის გასაგრძელებლად სანკტ-პეტერბურგში, რუსეთის არმიის გენშტაბის სამხედრო აკადემიაში გაგზავნეს, რომელიც 1917 წელს დაამთავრა. 1921-1939 წლებში მსახურობდა პოლონეთის არმიაში საკავალერიო ბრიგადის მეთაურად. როცა მესამე რაიხის ვერმახტი პოლონეთში შეიჭრა და მთავრობა დიდ ბრიტანეთში ემიგრაციაში წავიდა, ვლადისლავ ანდერსი ლონდონში მყოფ ემიგრანტულ მთავრობას ექვემდებარებოდა. 1939 წელს იგი ტყვედ ჩაიგდო პოლონეთში შესულმა წითელმა არმიამ, გადაიყვანეს მოსკოვში, ლუბიანკის საპყრობილეში და როცა სსრ კავშირმა ურთიერთობა დაამყარა პოლონეთის ემიგრანტულ მთავრობასთან, 1941 წლის აგვისტოში, იოსებ სტალინმა ლავრენტი ბერიას მისი გათავისუფლება დაავალა. ვლადისლავ ანდერსს მიენიჭა გენერლის წოდება და ნება დართეს პოლონელი მოქალაქეებისაგან, ასევე ტყვე ჯარისკაცებისაგან და ოფიცრებისაგან არმია ჩამოეყალიბებინა გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. მართალია, არმია ჩამოყალიბდა ძირითადად საბჭოთა კავშირის მატერიალური და ფინანსური დახმარებით, მაგრამ საბოლოო ჯამში ვლადისლავ ანდერსმა, ლონდონის ემიგრანტული მთავრობისა და უინსტონ ჩერჩილის ჩარევით, რომელიც იოსებ სტალინს შეუთანხმდა (ანდერსი თვითონაც შეხვდა იოსებ სტალინს კრემლში 1942 წლის 18 მარტს), პოლონური სამხედრო ნაწილები, 75 ათასი სამხედრო მოსამსახურით, ჯერ ირანში, შემდეგ ახლო აღმოსავლეთში და ბოლოს იტალიაში გაიყვანა, რომლებიც მე-2 პოლონური საარმიო კორპუსის სახით, ბრიტანეთის ჯარებში გაერთიანდნენ.**

## მასუდ ფეზეშქიანი:

# საჭიროდ მიმაჩნია, ბოდიში მოვუხადო მეზობელ ქვეყნებს, რომლებზეც შეტევა განხორციელდა, ჩვენ არ ვაპირებთ მეზობელ ქვეყნებში შეჭრას



**ირანის პრეზიდენტმა, მასუდ ფეზეშიანმა მეზოგელ ქვეყნებს ბოდიში მოუხადა ირანის მხრიდან განხორციელებული თავდასხმებისთვის და აღნიშნა, რომ ირანი მეზოგლებს თავს არ დაესხმება, „თუ ისინი პირველები არ დაესხმებიან თავს“.**

**„მე საჭიროდ მიმაჩნია ბოდიში მოვუხადო მეზობელ ქვეყნებს, რომლებზეც შეტევა განხორციელდა. ჩვენ არ ვაპირებთ მეზობელ ქვეყნებში შეჭრას“,** – განაცხადა **ფეზეშქიანმა**. ირანის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ისრაელის ან შეერთებული შტატების მხარდაჭერა „პატივისა და თავისუფლებისკენ მიმავალი გზა არ არის“. ამასთან, ფეზეშქიანის თქმით, ირანი არ დანებდება და სამხედროები აგრძელებენ ისრაელის წინააღმდეგ საპასუხო დარტყმებს.

**„ირანი არასდროს დანებდება, ისინი ჩვენი უპირობო დანებების შესახებ ოცნებებს საფლავში წაიღებენ“,** – განაცხადა **ფეზეშქიანმა**.

## გერმანიის ვიცე-კანცლერი:

# ...ჩვენი ომი არ არის, სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობას არ მივიღებთ!

**გერმანია ირანის წინააღმდეგ მიმდინარე სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობას არ მიიღებს... ეს ჩვენი ომი არ არის,** – განაცხადა გერმანიის ვიცე-კანცლერმა და ფინანსთა მინისტრმა, **ლარს კლინგბეილმა.**

კლინგბეილის თქმით, ირანის ხელისუფლება „ტერორისტული რეჟიმია“, თუმცა საჰაერო დარტყმები, სავარაუდოდ, პრობლემას მუდმივად ვერ გადაწყვეტს და არსებობს სერიოზული კითხვები მათ საერთაშორისო სამართალთან შესაბამისობაზე. მისივე თქმით, საერთაშორისო ურთიერთობები კვლავ წესებზე დაფუძნებულ სისტემას უნდა დაეყრდნოს.

# „ევრონიუსი“: აიათოლა ალი ხამენეის ვაჟი ევროპაში მნიშვნელოვან უძრავ ქონებას ფლობს

**აიათოლა ალი ხამენეის ვაჟი, რომელიც მის მემკვიდრედ განიხილება, ევროპაში უძრავი ქონების იმპერიას ფლობს,** – ამის შესახებ **„ევრონიუსი“** წერს.

გამომძიებელმა ჟურნალისტებმა დაადგინეს, რომ 56 წლის მოჯთაბა ხამენეის საზღვარგარეთ მნიშვნელოვანი ქონება აქვს.

**ევროპაში უძრავი ქონების იმპერია შექმნა ირანელმა ბიზნესმენმა, ალი ანსარმა, რომელიც დაკავშირებულია ირანის სულიერი ლიდერის, ალი ხამენეის ვაჟთან.**

**„ბლუმბერგის“ ერთწლიანი გამოძიების თანახმად, ის შუამავლების მეშვეობით აკონტროლებს უძრავი ქონების საერთაშორისო ქსელს, თუმცა აქტივები პირდაპირ მის სახელზე არ არის რეგისტრირებული.**

პორტფელში შედის ძვირად ღირებული უძრავი ქონება ლონდონში, ვილა დუბაიში და მაღალი კლასის სასტუმროები ფრანკფურტსა და მალიორკაზე. დაფინანსება ძირითადად მოდის ირანის ნავთობის შემოსავლებიდან, რომლებიც ირიცხება ბრიტანეთში, შვეიცარიაში, ლიხტენშტაინსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში მდებარე ფინანსურ ინსტიტუტებში და ოფშორული კომპანიების ქსელის გავლით.

**„ბლუმბერგის“ მიერ იდენტიფიცირებული ერთ-ერთი ძირითადი აქტივია ფრანკფურტში მდებარე ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო Hilton Frankfurt Gravenbruch-ი. დოკუმენტაციის მიხედვით, სასტუმრო 2011 წლიდან ეკუთვნის ირანელ ბიზნესმენ ალი ანსარისთან დაკავშირებულ სტრუქტურებს. გამოძიების მიხედვით, ირანელი მულტიმილიონერი ალი ანსარი, შუამავლის როლს ასრულებს ხამენეის ვაჟისთვის. თავად ანსარი უარყოფს რაიმე კავშირს „ირანის რევოლუციის გუშაგთა კორპუსთან“ ან მოჯთაბა ხამენეისთან.**

ანსარის წინააღმდეგ სანქციები 2025 წლის ოქტომბერში დააწესა დიდმა ბრიტანეთმა. ანსარიმ კატეგორიულად უარყო ფინანსური ან პირადი კავშირი მოჯთაბა ხამენეისთან და აღნიშნა, რომ აპირებს ბრიტანეთის მიერ დაწესებული სანქციების გასაჩივრებას.

როგორც „ევრონიუსი“ Financial Times-ის გამოძიებაზე დაყრდნობით წერს, ირანელმა ბიზნესმენმა, ანსარიმ შექმნა დაახლოებით 400 მილიონი ევროს ღირებულების ევროპული უძრავი ქონების იმპერია. აქტივები მოიცავს ძვირად ღირებულ ქონებას ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის გოლფის კურორტს მალიორკაზე და სათხილამურო სასტუმროს ავსტრიაში, რომლებიც სტრუქტურირებულია ოფშორული კომპანიების რთული ქსელით ლუქსემბურგში, სენტ კიტსსა და ნევისში, ავსტრიაში, გერმანიასა და ესპანეთში.



საქართველოს რესპუბლიკა

# აკადემიკოს ომარ გოგიაშვილის ახალი ნაშრომი

## ქართული სოციალურ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიიდან

**საქართველოში პოლიტიკური მეცნიერების შემოღწევისა და აღიარების პერიოდიდან პროფ. ომარ გოგიაშვილიამ მეცნიერების დამკვიდრებისათვის სხვადასხვა პრობლემატიკის აღიარებული მკვლევარი გახდა.**

ამ პერიოდიდან (გასული საუკუნის 80-იანი წლები) მისი მეცნიერული კვლევა ძირითადად ორი მიმართულებით წარიმართა:

1. ქართული პოლიტიკური აზრის, პოლიტიკური მოძღვრების ისტორია და თანამედროვეობა. 2008 წელს გამოვიდა ო. გოგიაშვილის ფუნდამენტური გამოკვლევა **„ილია დღეს. იდეოლოგია, პოლიტიკა“.** მაგრამ ავტორი არ დასჯერდა ამას, შრომა განაგრძო და2016 წლიდან თითქმის ყოველწლიურად გამოდიოდა „ილია დღეს“ ხუთტომეულის თითო ტომი. მივიღეთ თავისებურად ახალი გამოცემა, სადაც პრობლემები უფრო ფართოდ და მასშტაბურად არის განხილული.

2. ო. გოგიაშვილის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მეორე მთავარ მიმართულებას წარმოადგენს რუსულ-ქართული პოლიტიკურ-კულტუროლოგიური ურთიერთობის კვლევა. კვლევის პერიოდი იწყება გასული საუკუნის 80-იანი წლების დამდეგიდან, როცა რუსეთის სამეცნიერო, სამეცნიერო-პოლიტიკური, სამხედრო, ჟურნალისტური, კულტურული წრეებიდან დაიწყო მასშტაბური შეტევა ყოველივე ქართულზე. თავის კოლეგა ნ. ფორაქიშვილთან ერთად გამოსცა მნიშვნელოვანი მონოგრაფია: **„Безумие и безумцы“.**




ხუთტომეულის გამოცემიდან 5 წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე კიდევ ორი წიგნი გამოსცა პროფ. ო. გოგიაშვილმა, ორი სქელტანიანი ნაშრომი: **„წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი. პიროვნება** და **ღვაწლი“ და „ილიას ირგვლივ“**. ამ ნაშრომების ერთი უმთავრესი ღირსება, რაც მათ თვისობრივად განასხვავებს, ისაა, რომ ილიას ნააზრევი განხილულია იმ დიდი მოაზროვნეების ფონზე, რომელთა მხრებზეც დგას დღეს პოლიტიკური ცივილიზაციის მიღწევები. „ილიას ირგვლივ“ გაცნობისას გიპყრობს გაოცება, თუ როგორ შეძლო 6 ტომის ავტორმა კიდევ ერთი ფუნდამენტური ნაშრომის შექმნა ამ თემაზე, გხიბლავს მასალის წარმოჩენის სიღრმე და სიმსუბუქე, იმავდროულად – დასკვნების გაკეთების სითამამე და შეუვალობა.

ნაშრომი „ილიას ირგვლივ“ 4 განყოფილებისაგან შედგება. **„ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიიდან“**, რომელშიც ილიას ნახევარსაუკუნოვან უმდიდრეს პუბლიცისტიკაში ერის ბედზე გაბნეული მისი არგუმენტაცია ასეა დაჯგუფებული: პატრიოტიზმი, მშობლიური მიწის სიყვარული,თავგანწირვა მის დასაცავად; რელიგიური ფაქტორი, ეროვნულობის შერწყმა მართლმადიდებლობასთან; ეკონომიკური ფაქტორი – რა ასაზრდოებდა მუდმივად საომარ მდგომარეობაში მყოფ ერს; ეროვნული ენის ფაქტორი; ტრადიციები და ეროვნული მენტალობა; კონფორმიზმი – ჟამი ქვების შეგროვებისა და ქვების სროლისა.

წიგნში საკმაო ადგილი უკავია ჟურნალების „ცისკრისა“ და „საქართველოს მოამბის“ როლს ილიასა და არჩილ ჯორჯაძის პოლიტიკურ ნააზრევში. სამოღვაწეო ასპარეზზე ახლადფეხშედგმული ილია ისევე, როგორც ქართული სოციალურ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში ერის ბედზე დაფიქრებული არაერთი მოღვაწე, ცდილობდა „მთვლემარე“ ერის გამოღვიძების დიდმნიშვნელოვან საქმეში პრესის როლის წინ წამოწევას. ილია იძიებდა და აანალიზებდა ყველა მნიშვნელოვან ფაქტორს, პროცესს და მოვლენას, რომლებსაც კონკრეტულ ისტორიულ პირობებში ერის გადარჩენისთვის გარკვეული მისია ეკისრებოდა.

არჩილ ჯორჯაძე მიუთითებს, რომ საქართველოში ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემამდე (1852 წ.) პრესა არ არსებობდა. „ცისკარი“ ეროვნულ-პოლიტიკურ პრობლემატიკას ერიდებოდა და მის გარშემო შემოკრებილი ლიტერატორებიც გაურბოდნენ მწვავე დისკუსიებს, სანამ ილიამ მათი შემოქმედება სამართლიანად არ გააკრიტიკა, მაგრამ წმინდა ლიტერატურული თვალსაზრისით, ამ ჟურნალს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

1863 წლის თებერვალში გამოიცა ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. მის გამოცემაში მონაწილეობდა იმდროინდელი ინტელიგენტური ელიტის დიდი ნაწილი. პოლიტიკის თემებზე ბეჭდვა ჟურნალს აკრძალული ჰქონდა.

მან მხოლოდ ერთი წელი იარსება, მაგრამ მიუხედავად დროის სიმცირისა, უდიდესი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურის, ზოგადად კულტურის და მათ შორის პოლიტიკური ელემენტების მასობრივ სოციალიზაციაში.

ერთობ საინტერესოა მონაკვეთი „ილია და ევროპული დიპლომატია“ – ილია დიდი ბრიტანეთის დიპლომატიის შესახებ; ილია ბისმარკის დიპლომატიის შესახებ. ამ თემატიკას აგრძელებს „ილიას იდეოლოგიურ-პოლიტიკური ორიენტაცია“ და „ილია და პოლონეთი“.

წიგნს ასრულებს განყოფილება „ქართული პოლიტიკური კონფორმიზმი“. დიმიტრი ყიფიანი და გრიგოლ ორბელიანი ილიასა და არჩილ ჯორჯაძის პოლიტიკურ ნააზრევში.

არჩილ ჯორჯაძემ პირველად ქართულ პოლიტიკურ მეცნიერებაში დასავლური გამოცდილების გამოყენებით შექმნა თავისი დროის აქტიური პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის **დიმიტრი ყიფიანის** ბიოგრაფია, რომელიც ფაქტობრივად პოლიტიკური ბიოგრაფიაა მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობის აქცენტირებით.

ილიამ იცოდა საქართველოსთვის დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობის ფასი. მის ქვეყანაში, ალბათ, ბევრი არ იყო ისეთი ავტორიტეტი, რომლის მოადგილეობასაც ილიას შებედავდნენ, და ილიაც ამას ბუნებრივად ჩათვლიდა და მიიღებდა, არც დიმიტრი ყიფიანს ესწავლებოდა ილიას მოღვაწეობის ზოგადეროვნული მნიშვნელობა და არც ის იყო შემთხვევითი, რომ დიმიტრი ყიფიანი მის მიერ ინიცირებული დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებების გამართვას და მათში ჩადებული იდეის განხორციელებას მხოლოდ ილიას ანდობდა.

ქართველ საზოგადო მოღვაწეთაგან XIX საუკუნის ყველაზე წარმატებული პიროვნება სამხედრო და სამოქალაქო-ადმინისტრაციულ სფეროებში **გრიგოლ ორბელიანი** იყო, ერთი იმათგანი, რომლებიცXIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ძირითად მიმართულებებს ქმნიდნენ. გრიგოლ ორბელიანს ღრმად სწამდა, რომ შექმნილ ვითარებაში რუსი გენერლის მუნდირში გამოწყობილი ქართველი მეფეების ნათესავ თავადს რუსეთისთვისაც და საქართველოსთვისაც ერთდროულად შეეძლო სარგებლის მოტანა. ეს იყო მისი პოლიტიკური კონფორმიზმის მყარი საფუძველი.

ილია გრიგოლ ორბელიანის ღვთიურ ნიჭიერებას უმაღლესი ეპითეტებით ამკობდა. იგი გრიგოლის ღვაწლსა და დამსახურებას იმაში ხედავს, რომ ქართული საზოგადოება თავის სამშობლოს ბედზე და უბედობაზე დააფიქრა, რომ იგი იყო თავის დაჩაგრულის მამულის ძლიერ სიტყვით მოტრფიალე, ეროვნული იდეის პოეტურად გამომხატველი, „დროთა სიზმარებრ გამქრალთა“ ჭირისუფალი, საქართველოს დიდების კვლავ დაბრუნებისთვის ზეშთაგონებული.

**საქართველოს მეცნიერებთა ეროვნული აკადემიის წევრის, პროფ. ომარ გოგიაშვილის ახალი ნაშრომი „ილიას ირგვლივ“ ილიას ფილოსოფიური, იდეოლოგიური, პოლიტიკური მემკვიდრეობის გაანალიზებისა და განზოგადების გაგრძელებაა და იგი მასშტაბური და საყოველთაო აღიარებით, წარმატებული აღმოჩნდა.**

**ალეკო ასლანიშვილი**

# ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის 2025 წლის ფინანსური ანგარიში

ნაშთი 01.01.2025 იყო **6984** ლარი. 2025 წელს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის შემოსავალმა შეადგინა **114400** ლარი. მათ შორის საწევრო ანარიცხების სახით **102400** ლარი („სემეკიდან" 12000 ლარი, „თელასიდან" 14400 ლარი, „ენერგო-პრო ჯორჯიადან" 24000 ლარი, „საქორგგაზიდან" 12000 ლარი, „ენგურჰესიდან" 10000 ლარი, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემიდან" 30000), დახმარების სახით **12000** ლარი „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციიდან". სულ შემოსავალი ნაშთის ჩათვლით არის **121384** ლარი.

### ბალანსი 1/01-2026 წლისთვის

| აქტივი | კოდი (სტრიქ) | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს | პასივი | კოდი (სტრიქ) | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მიმდინარე აქტივები | | | | მიმდინარე ვალდებულებები | | | |
| ნაღდი ფული სალაროში - 1110 | 10 | 0,00 | 0,00 | მოწოდებიდან და მომსახურეობიდან წარმოქმნილი ვალდებულებები-3110 | 310 | 41,00 | 40,00 |
| ფული საბანკო ანგარიშებზე - 1210 | 20 | 6984,00 | 5832,00 | მიღებული ავანსები-3120 | 320 | | |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურეობიდან - 1410 | 40 | 4200,00 | 4200,00 | გადასახდელი ხელფასები-3130 | 330 | | |
| მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ - 1420 | 41 | | | გადასახდელი საგადასახადო ვალდებულება-3380 | 370 | 0,00 | 0,00 |
| მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ-1430 | 60 | | | სულ მიმდინარე ვალდებულებები | | 41,00 | 40,00 |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები-1490 | 90 | | | საკუთარი კაპიტალი | | | |
| სულ მიმდინარე აქტივები | | 11184,00 | 10032,00 | სხვა საოპერაციო შემოსავლები - 6190 | 610 | 15599,00 | 14193,00 |
| სასაქონლო მატერიალური მარაგი | | | | გაუნაწილებელი მოგება-5310 | 540 | | |
| წინასწარ გაწეული ხარჯები-1700 | 160 | 35,00 | 36,00 | დაუფარავი ზარალი-5320 | 550 | | |
| მარაგები -1690 | 170 | 2684,00 | 2744,00 | სულ საკუთარი კაპიტალი | | 15599,00 | 14193,00 |
| სულ მატერიალური მარაგი | | 2719,00 | 2780,00 | სულ ვალდებულებები და საკუთრი კაპიტალი | | 15640,00 | 14233,00 |
| სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი | | | | | | | |
| გრძელვადიანი აქტივები | | | | | | | |
| ოფისის აღჭურვილობა-2160 | 230 | 1737,00 | 1421,00 | | | | |
| სხვა ძირითადი საშუალებები-2190 | 250 | | | | | | |
| სულ გრძელვადიანი აქტივები | | 1737,00 | 1421,00 | | | | |
| სულ აქტივები | | 15640,00 | 14233,00 | | | | |

2025 წელს გაწეულია **115806** ლარის ხარჯი. ჩატარდა 58 ვეტერან-ენერგეტიკოსის საიუბილეო თარიღების აღნიშვნა მისალოცი ადრესებით და ფასიანი საჩუქრების გადაცემით – თანხით 5220 ლარი, გაიცა ვეტერანებზე მატერიალური დახმარება (306-ჯერ) – 44310 ლარი, დაჯილდოვდა ომის მონაწილის 1 ვეტერანი და სხვა ვეტერანები 580 ლარით, განთავსდა გაზეთში ვეტერანების ნეკროლოგები – 372 ლარი. სულ ზემოთ ჩამოთვლილი ვეტერანების ღონისძიებებზე დაიხარჯა – **50482** ლარი. ადმინისტრაციულმა ხარჯმა შეადგინა **59831** ლარი, საკანცელარიო ხარჯი **572** ლარი, კომუნიკაციური მომსახურეობა **832** ლარი, ბანკის მომსახურეობის საკომისიო **395** ლარი, დარიცხული 2025 წლის ამორტიზაცია **316** ლარი, დარიცხული ქონების გადასახადი **10** ლარი, ჟურნალ-გაზეთების გამოწერა **168** ლარი, აუდიტის მომსახურეობა **2000** ლარი, ოფისის იჯარა **1200** ლარი.

# ერთი გასროლით – 2 კურდღელი!

**როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა „ავჭალაზე“ ტრადიციულად უხერხულ მეტოქეს რუმინეთს მძიმე პირველი ტაიმის (15:9) შემდეგ სოლიდური სხვაობითა და 8 ლელოთი მოუგო რაგბი ევროპის ნახევარფინალი და წარმატებით განაგრძობს ლაშქრობას მე-18 ტიტულისკენ – 53:30.**

**აღსანიშნავია, რომ გუშინ ბორჯღალოსნები საიუბილეოდ – მე-20 დაეუფლნენ ორი ერთმორწმუნე ერის მარადიული მეგობრობის სიმბოლოს – ანთიმოზ ივერიელის პრესტიჟულ თასს.**

**ლელო:** მეტრეველი, ტაბუცაძე, სალინაძე, ჯალაღონია, მატკავა, შიოშვილი, კახოიძე, საჯარიმო ლელო.

**საჯარიმო და 4 რეალიზაცია:** აბჟანდაძე.

ეს გახლდათ ჩვენი გუნდის 37-წლიან ბიოგრაფიაში გამართული 294-ე მატჩი, მათ შორის მუხებთან – 31-ე და მათთან მოპოვებული 21-ე გამარჯვება 1 ფრისა და 9 მარცხის წილ, ლელოების რაოდენობა კი 86-მდე გავზარდეთ (კარპატელებმა – 42-მდე), ხოლო ქულების რაოდენობა – 756-მდე (სტუმრებმა – 480-მდე).

გუშინვე ეროვნულ ნაკრებს ორი ცენტურიონი – **ალექსანდრე თოდუა** (122 შეხვედრა) და **შალვა მამუკაშვილი** (103 შეხვედრა) პირნათელი დაემშვიდობა. მადლობა მათ!

**და ბოლოს: ჩვენ კი ვამბობთ, რომ რაგბი ევროპისთვის უკვე გადაზრდილნი ვართ და ბორჯღალოსანთა ადგილი 6 ერშია, მაგრამ წინა დღეს ქართველთა პრინციპული კონკურენტის – იტალიის მიერ რაგბის სამშობლოს – ინგლისის დამარცხებამ ჩვენი შანსები დასაწინაურებლად სათუო გახადა. თუმცა, ვინ იცის?**







# თეთრი სახლის ოქტაგონზე

**ქართველი მებრძოლი ილია თოფურია ოქტაგონზე ბრუნდება. „ელ მატადორი“ მომდევნო ორთაბრძოლას ჯასტინ გეიჯის წინააღმდეგ გამართავს და აღნიშნული დაპირისპირება, როგორც მოსალოდნელი იყო, თეთრი სახლის ღონისძიებაზე გაიმართება.**

აღნიშნული ინფორმაცია უკვე ოფიციალურად დადასტურებულია და ყველაფერთან ერთად ილია-ჯასტინის ბრძოლა UFC freedom 250-ის მთავარი დაპირისპირება იქნება. ისტორიული ღონისძიება 2026 წლის 14 ივნისს არის ჩანიშნული და ის თეთრი სახლის ეზოში გაიმართება

ილია თოფურია მსუბუქი დივიზიონის ჩემპიონია, თუმცა გარკვეული დროით მან საჩემპიონო ქამარი დროებით დატოვა და სწორედ ჯასტინ გეიჯიმ დროებით ქამარზე პედი პიმბლეტი დაამარცხა. შეგახსენებთ, რომ UFC-იმ თეთრი სახლის ღონისძიებაზე კიდევ რამდენიმე ჩხუბი დაადასტურა და მათ შორის თანამთავარი ბრძოლა ალექს პერეირას და სირილ განის დროებით ქამარზე დაპირისპირება იქნება.

# დუბლი ასისტით



**საფრანგეთის ლიგა 2-ის 26-ე ტურში „სენტ ეტიენმა“ „რედ სტარი“ 2:0 დაამარცხა, ზურიკო დავითაშვილმა კი ორი საგოლე პასი შეასრულა.**

65-ე წუთზე ანგარიში კევინ პედრომ გახსნა,ქართველი შემტევის შესანიშნავი გადაცემის შემდეგ, ხოლო მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე ლუკა სტასენმა სხვაობა გააორმაგა და ასისტენტი ისევ ზურიკო იყო.

დავითაშვილს ლიგა 2-ის მიმდინარე სეზონში 22 მატჩში 11 ბურთი აქვს გატანილი და 3-ჯერ საგოლე პასი გააკეთა. ქართველი 11 გოლით ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზეა და ლიდერს, „ტრუას“ ფეხბურთელ ტაფიკ ბენტალებს ორი ბურთით ჩამორჩება. „სენტ ეტიენმა“ ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგო, 49 ქულით მეორე ადგილზეა და უახლოეს მდევარ „ლე მანს“ 5 ქულით უსწრებს, მომდევნო ტურში კი 14 მარტს „გრენობლს“ ესტუმრება.

# თურმე, შესძლებიათ...

**მილანი – ბარსელონა 87:84.**

**საკალათბურთო** ევროლიგის რეგულარული სეზონის 30-ე ტურის ეს რიგითი შეხვედრა არაფრით იქნებოდა გამორჩეული, საოქმო ციფრებს მიღმა თითქმის დაუჯერებელი ამბის შესახებ რომ არ გვიწევდეს საუბარი.

დიახ, ბოლო პერიოდის წინ მასპინძლები 27(!)-ქულიანი უპირატესობით დაწინაურდნენ, თანაც სტუმრებმა სამივე მეოთხედში 17-17 სამადლო ქულა ძლივს მოაგროვეს, რაც იშვიათი ფაქტია, და ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ რაიმე ფორმით მატჩს ინტრიგა დაუბრუნდებოდა, მაგრამ...

მოკლედ, დასკვნითი 10 წუთი ზედიზედ 3 წაგებით კრიზისში მყოფმა კატალონიელებმა 33:9(!) მოიგეს და, მეტიც, საფინალო სირენასთან ერთად ბრიზუელამ საკუთარი კალათის სიახლოვიდან იტალიელებს კინაღამ მხსნელი 3-ქულიანიც ჩაუგდო.

სხვათა შორის, შარშან სწორედ მილანს დაუკავშირდა მსგავსი სცენარით განვითარებული მოვლენები, ოღონდ პირიქით და მაშინ კაუნასის ჟალგირისმა იმავე დარბაზში, ბარსელონასგან განსხვავებით, ასევე 27-ქულიანი ჩამორჩენის აღმოხფვრის შემდეგ დამატებით დროში ბოლომდე მიიყვანა ზღაპრული გამარჯვების საქმე.



რაც შეეხება **თორნიკე შენგელიას,** მომქანცველი სანაკრებო ბრძოლების მიუხედავად, აპენინებზეც ღირსეული გახლდათ და პარტნიორთაგან საუკეთესო სტატისტიკით უკვე მერამდენედ დაამტკიცა უმაღლესი დონე: 25 წუთში 15 ქულა, 7 მოხსნა, თითო ასისტი – ჩაჭრა-დაფარება და სარგებლიანობის კოეფიციენტი 19.

**13 მარტი.** ბარსელონა – ჰაპოელი.

**სატურნირო ცხრილი:** ფენერბახჩე – 7, ვალენსია, ოლიმპიაკოსი – 10, რეალი, ჰაპოელი – 11, ცრვენა ზვეზდა, ჟალგირისი, ბარსელონა – 13, მონაკო, პანათინაიკოსი, დუბაი – 14, მილანი, მაკაბი – 15, ვირტუსი, ბაიერნი – 17, პარიზი – 18, პარტიზანი – 20, ეფესი, ბასკონია – 21, ლიონი – 22 წაგება.

# ომი და... გიჟობა



**ფანხიო, შუმახერი, პროსტი, სენა, ჰემილტონი, ალონსო, მენსელი, როსბერგი, ფერსტაფენი – ეს ფორმულა – 1-ის ლეგენდების მცირე ჩამონათვალია, რომლებმაც ძრავების სამყაროში ისეთივე სახელი დატოვეს, როგორიც, მაგალითად, ფეხბურთში – პელემ, კრუიფმა, მარადონამ, დი სტეფანომ, ჩარლტონმა, ბეკენბაუერმა, მესიმ...**

მოკლედ, ავსტრალიის გრან პრით მელბურნში ავტოსპორტის საკულტო სანახაობის ახალი სეზონი ალბერტ პარკის ტრასაზე გაიხსნა, მარათონული გათამაშება კი, ტრადიციისამებრ 6 დეკემბერს აბუ-დაბიში დასრულდება.

აღსანიშნავია, რომ ამჯერად გამოკვეთილი ფავორიტი ბუნებაში არ არსებობს, რადგან მოქმედი გვირგვინოსანი, მაკლარენის ბრიტანელი პილოტი **ლანდო ნორისი** ბუკმეკერებმა ტიტულის მაძიებელთა კვარტეტშიც კი არ შეიყვანეს და უპირატესობა მერსედესის ლიდერს **ჯორჯ რასელს** მიანიჭეს.

რაც შეეხება კონსტრუქტორთა თასს, მეტნაკლები თანაფარდობით რჩეულნი ასეთი თანამიმდევრობით შეუტევენ პოდიუმს: მერსედესი, ფერარი, რედ ბული. მოკლედ, წინ დიდი ცირკია!

**გუნდების შემადგენლობები:**

**მაკლარენი:** პიასტრი, ნორისი.
**მერსედესი:** რასელი, ანტონელი.
**რედ ბული**: ფერსტაფენი, ჰაჯარი.
**ფერარი:** ლეკლერი, ჰემილტონი.
**უილიამსი:** ელბერი, საინსი.
**რეისინგი:** ლინდბლადი, ლოუსონი.
**ასტონ მარტინი:** სტროლი, ალონსო.
**ჰაასი:** ოკონი, ბარმანი.
**აუდი:** ჰიულკენბერგი, ბორტოლეტო.
**ალპინი:** გასლი, კოლაპინტო.
**კადილაკი:** პერესი, ბოტასი.

**ეტაპების კალენდარი:**

**15 მარტი.** ჩინეთი (შანხაი).
**29 მარტი.** იაპონია (სუძუკა).
**12 აპრილი**. ბაჰრეინი (სახირი).
**19 აპრილი.** საუდის არაბეთი (ჯიდა).
**3 მაისი.** აშშ (მაიამი).
**24 მაისი.** კანადა (მონრეალი).
**7 ივნისი.** მონაკო (მონტე კარლო).
**14 ივნისი.** ესპანეთი (ბარსელონა).
**28 ივნისი.** ავსტრია (შპილბერგი).
**5 ივლისი.** ბრიტანეთი (სილვერსტოუნი).
**19 ივლისი.** ბელგია (სპა ფრანკოშამპი).
**26 ივლისი.** უნგრეთი (ჰუნგარორინგი).
**23 აგვისტო.** ნიდერლანდი (ზანდფორტი).
**6 სექტემბერი.** იტალია (მონცა).
**13 სექტემბერი.** ესპანეთი (მადრიდი).
**26 სექტემბერი.** აზერბაიჯანი (ბაქო).
**11 ოქტომბერი.** სინგაპური (მარინა-ბეი).
**25 ოქტომბერი.** აშშ (ოსტინი).
**1 ნოემბერი.** მექსიკა (მეხიკო).
**8 ნოემბერი.** ბრაზილია (სან პაულუ).
**21 ნოემბერი.** აშშ (ლას ვეგასი).
**29 ნოემბერი.** კატარი (ლოსაილი).
**6 დეკემბერი.** საამიროები (აბუ დაბი).

**და ბოლოს:** ვიმედოვნებთ, ახლო აღმოსავლეთში განვითარებული ტრაგიკული მოვლენები მალე სამშვიდობო შეთანხმებით დასრულდება და აზიური რბოლები შეუფერხებლად ჩაივლის.

**პირველი ეტაპი.
ავსტრალიის გრან პრი. პოდიუმი.**

1. რასელი (მერსედესი).
2. ანტონელი (მერსედესი).
3. ლეკლერი (ფერარი).

# პირველად და მეორედ პოვნა

## პატიოსნისა თავისა წმიდისა, დიდებულისა, წინამორბედისა და ნათლისმცემლისა იოანესი

**9 მარტს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს იოანე ნათლისმცემლის თავის პირველად (IV ს.) და მეორედ პოვნას.**

...იოანე ნათლისმცემლის მოწაფეებმა თავიანთი მოძღვრის მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ შეიტყვეს. მათ იოანეს სხეულის წაღების ნებართვა მოიპოვეს, ქალაქ სამარიაში გადაასვენეს და ელისე და აბდია წინასწარმეტყველთა სფლავების გვერდით დაკრძალეს. მისი თავი ჰეროდეს ეზოს მოძღვრის ქოზას ცოლმა თიხის ჭურჭელში ჩაასვენა და ელეონის მთაზე – ჰეროდეს ერთ-ერთი მამულის მიდამოებში დაკრძალა.

მრავალი წლის შემდეგ ეს ადგილმამული კეთილმსახური დიდებულის – ინოკენტის მფლობელობაში გადავიდა, რომელმაც აქ ტაძრის აშენება გადაწყვიტა, ტაძრის საძირკვლის თხრის დროს აღმოჩენილ იქნა ჭურჭელი უფლის წინამორბედის თავით.

...ნაპოვნი სიწმინდის სიდიადე მასთან აღსრულებული სასწაულებით გაცხადდა. ეს იყო იოანე ნათლისმცემლის თავის პირველად პოვნა.

მოციქულთასწორის – კონსტანტინე დიდის მეფობისას ქრისტიანობის აყვავების ხანაში, წმიდა ადგილების მოსალოცად ჩასულ ორ ბერს იერუსალიმში ორჯერ გამოეცხადა უფლის წინამორბედი და პატიოსანი თავის ადგილსამყოფელი ამცნო. ბერებმა ამოთხარეს სიწმინდე, აქლემის ტყავის ტომარაში ჩადეს და შინისკენ გაბრუნდნენ. გზად მათ შეხვდათ უცნობი მექოთნე და ძვირფასი ტვირთი მას მისცეს სატარებლად... მან არ იცოდა რა სიწმინდე მიჰქონდა, მაგრამ თავად იოანე გამოეცხადა და უბრძანა, გაქცეოდა დაუდევარ ბერებს და თან გაეყოლებინა ისიც, რაც ხელთ ეპყრა.

ღვთისმოყვარე ხელოსანი ფარულად განერიდა თანამგზავრებს. შემდგომში იგი პატივით ინახავდა წმიდა თავს. სიკვდილის წინ კი დას გადასცა, ამ დროიდან მოყოლებული სიწმინდე მემკვიდრეობით გა-



დაეცემოდა ღვთისმოშიშ ქრისტიანებს, მანამ, სანამ მისი მფლობელი არ გახდა ერეტიკოსი (მწვალებელი) მღვდელმთავარი ევსტათი, იგი პატიოსანი თავის სიწმინდის ძალით კურნავდა სნეულებს, შემდეგ კი აღსრულებულ სასწაულებს ერესის მადლს მიაწერდა...

გავიდა დრო, გამოქვაბულში, სადაც პატიოსანი თავი იყო ჩაფლული, პატიოსანი ბერები დამკვიდრდნენ, ქრისტიანული მონასტერი ააგეს. სავანეში სიწმინდე მეორედ იპოვეს. ეს დღესასწაული 452 წლის 9 მარტს დაარსდა.

**გიული ლიპარტია**

# მნიშვნელოვანი ინფორმაცია აბიტურიენტებისთვის

**საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის, გივი მიქანაძის ხელმძღვანელობით, ერთიანი ეროვნული გამოცდების რეგისტრაციის პროცესთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გაიმართა.**



**გივი მიქანაძის** განცხადებით, **საქართველოში პირველად, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაწყვეტილებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესაძლებლობა ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში დარეგისტრირებულ იმ აბიტურიენტებსაც ექნებათ, რომლებიც აკადემიურ პროგრამებთან ერთად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსაც აირჩევენ.**

**ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში აბიტურიენტებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის საშუალება დამატებითი შერჩევის პროცედურის გარეშე, შესაბამის საგანში მიღებული შეფასების საფუძველზე ექნებათ.**

**ჩარიცხვისთვის აუცილებელი იქნება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული საგნის ჩაბარება. კერძოდ, თუ აბიტურიენტი ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბარებს მათემატიკას, მას შეუძლია, აირჩიოს ნებისმიერი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის ჩარიცხვის წინაპირობა სწორედ მათემატიკის გამოცდაა. დეტალური ინფორმაცია სრულად იქნება ასახული აბიტურიენტის ცნობარში, რომელიც აპრილის თვის დასაწყისში გამოქვეყნდება.**

**პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტმა უნდა გადალახოს ერთიანი ეროვნული გამოცდების შესაბამისი საგნისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ნახევარზე მეტი.**

**ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში ასარჩევი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მრავალფეროვანი იქნება და მოიცავს ისეთ მოთხოვნად მიმართულებებს, როგორებიცაა: ინფორმაციული ტექნოლოგიები, ტურიზმი, მომსახურება, მედიცინა, მშენებლობა და სხვა. გამოცხადებული ადგილების რაოდენობა 10 000-ს გადააჭარბებს, ხოლო მიღების პროცესში ჩაერთვებიან როგორც საჯარო, ასევე კერძო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები.**

**გარდა აბიტურიენტებისთვის შეთავაზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა, რომელიც წარმოადგენს პროფესიულ პროგრამებზე ჩასარიცხად დამატებით საშუალებას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება წელს ტრადიციულად გამოცხადდება ორჯერ – გაზაფხულსა და შემოდგომაზე.**

# არასრულწლოვანებმა თბილისში სასურსათო მაღაზიები და აფთიაქები გაქურდეს!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვანების საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ჯგუფურად ჩადენილი ქარცვისა და ქურდობის ბრალდებით 4 არასრულწლოვანი დააკავეს.**

დაკავებულთაგან სამი, წარსულში ნასამართლევია და ამჟამად პირობით მსჯავრის ქვეშ იმყოფება. საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით დგინდება, რომ არასრულწლოვნებმა წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თბილისში მდებარე სასურსათო მაღაზიათა და საათფთიაქო ქსელებიდან სხვადასხვა ღირებულების პროდუქცია გაიტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. არასრულწლოვანების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად, სხვადასხვა დანიშნულების სავაჭრო ობიექტებს 30 000 ლარამდე ფინანსური ზარალი მიადგათ.

მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, სამართალდამცველების მიერ ამოღებულია ათეულობით სავაჭრო ობიექტის სათვალთვალო კამერების ჩანაწერები, რითაც ბრალდებულების დანაშაულებრივი ქმედებები დასტურდება. ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად პოლიციამ ოთხივე არასრულწლოვანი ბრალდებულის სახით დააკავა. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2, მე-3 და 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.



# გივი ინწკირველი – 100



**8 მარტს ცნობილი იურისტის, სამართალმცოდნის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, თსუ სამართლის თეორიის კათედრის გამგის, მსოფლიოს 1000 საუკეთესო მეცნიერთა შორის დასახელებული პიროვნების, მრავალი თაობის აღმზრდელი პედაგოგის, პროფესორ გივი ზაქარიას ძე ინწკირველის დაბადების დღეა.**

**ის 100 წლის გახდებოდა.**

**ჩვენ, მისი აღზრდილები, დღესაც უდიდესი პატივისცემით და სიყვარულით მოვიხსენიებთ ღირსეულ მამულიშვილს, ყველასგან გამორჩეულ პიროვნებას გივი ინწკირველს.**

**ნათელი და სანთელი მის სპეტაკ სულს.**

**თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, ელგუჯა ორჯონიკიძე, ნოდარ მთვარელიძე, ზაურ შერგელაშვილი, კობა ნარჩემაშვილი, თემურ მურღულია, შოთა ასათიანი, კოტე ქავთარაძე, ვაჟა გენგაშვილი.**

---

**ანზორ და დიმა ჭითანავები ოჯახებთან ერთად მწუხარებით იუწყებიან,**

**ქოქოშა ჩილაჩავას**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მეუღლეს რევაზ (ომეზი) ჭითანავას, შვილებს – მამუკა და მალხაზ ჭითანავებს.**

# სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს

# განცხადება

საქართველოს მთავრობასთან 2015 წლის 26 მარტის სხდომაზე შეთანხმებული და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 8 აპრილის N39 ბრძანებით დამტკიცებული „გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის ფარგლებში“, 220 კვ. ეგხ-ების „აჭამეთი 1“-ს და აჭამეთი 2“-ს ცალკეული მონაკვეთების გაორჯაჭვიანება-რეაბილიტაციის პროექტის შესაბამისად შეიქმნა ახალი ჯაჭვი „აჭამეთი 3“. პროექტი განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა და მიზნად ისახავს რეგიონში ელექტრომომარაგების გაზრდას და ერთიანი ენერგოსისტემის მდგრადობის გაუმჯობესებას.

**220 კვ. ეგხ-ების „აჭამეთი 1“-ს და აჭამეთი 2“-ს ცალკეული მონაკვეთების გაორჯაჭვიანება- რეაბილიტაციის პროექტის ზემოქმედების არეალში მოექცა მოქალაქე კობა ლილუაშვილის (პ/ნ 18001011871) საკუთრებაში არსებული 7200.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 32.01.36.343) ნაწილი, კერძოდ 22.00 კვ.მ.** შესაბამისად, სამართლიანი კომპენსაციის ანაზღაურების სანაცვლოდ, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ გიწვევთ მოლაპარაკებისათვის.

გთხოვთ, საგაზეთო პუბლიკაციის გამოქვეყნებიდან 5 დღეში გვაცნობოთ თქვენი პოზიცია ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ეგხ-ს ზემოქმედების არეალში მოქცეულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე, კერძოდ 22 კვ.მ.-ზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით მიმართავს კომპეტენტურ ორგანოს.



შოთა ჯღამაია

# ქუთაისის ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმს ისტორიული რელიკვია შეემატა





**კათოლიკური ეკლესიის საინფორმაციო სააგენტოს ინფორმაციით, ბიზნესმენმა შოთა ჯღამაიამ მუზეუმს საჩუქრად გადასცა მის პირად კოლექციაში არსებული, კომპოზიტორის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ბრინჯაოს მედალი.**

**„უახლოეს პერიოდში, მუზეუმის კოლექციას კიდევ შეემატება ზაქარია ფალიაშვილის სამკერდე მედალი, საფოსტო მარკა და სამელნე, რომლებიც დიდი ქართველი კომპოზიტორის ხსოვნას კიდევ უფრო უკვდავყოფს და მომავალ თაობებს შეახსენებს მის უკვდავ მუსიკალურ ნაწარმოებებს“,** – წერს სოციალურ ქსელში **შოთა ჯღამაია.**

# სასახლე-მუზეუმების გაერთიანებას გიორგი კალანდია უხელმძღვანელებს

**კულტურის სამინისტროს ინიციატივით, ახლად დაფუძნებულ სსიპ – საქართველოს სასახლე-მუზეუმების გაერთიანებას ხელოვნების სასახლის დირექტორი გიორგი კალანდია უხელმძღვანელებს,** – ინფორმაციას საქართველოს კულტურის სამინისტრო ავრცელებს.

გაერთიანების შემადგენლობაში შედიან: საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი, დავით და გიორგი ერისთავების სასახლე-მუზეუმი და ზვიად გამსახურდიას სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი.

ხელოვნების სასახლეში გამართულ შეხვედრაზე, კულტურის მინისტრმა გაერთიანებაში შემავალი სასახლე-მუზეუმების თანამშრომლებს **გიორგი კალანდია** წარუდგინა. თინათინ რუხაძემ და **გიორგი კალანდიამ** მათ სამომავლო გეგმები და პრიორიტეტული პროექტები გააცნეს.



# ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლი თბილისში

**ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი გასტროლით ჩამოდის თბილისში. თეატრის ინფორმაციით, ის აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში ბრუნდება საყვარელი სპექტაკლებით და მარტის 10-14 რიცხვებში თბილისში თეატრალურ კვირეულს ჩაატარებს,**

პროექტი ხორციელდება საქართველოს კულტურის სამინისტროს, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის პარტნიორია ა(ა)იპ შემოქმედებითი კავშირი – საქართველოს თეატრალური საზოგადოება. **მისამართი: თბილისი, გიორგი ლეონიძის ქ. 11ა.**

# ამბროლაურის კულტურის სახლის პროექტირება იწყება



**ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი ამბროლაურში კულტურის სახლის პროექტირებას იწყებს,** – ინფორმაციას საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ავრცელებს.

მათივე ცნობით, შესაბამისი ხელშეკრულება კონკურსში გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმდა, რომლის მომსახურება ოთხი ეტაპისგან შედგება და სამუშაოების შესრულების საერთო ვადად 6 თვეა განსაზღვრული. პროექტის მიზანია კულტურის სახლის სრულყოფილი რეაბილიტაცია, მისი ისტორიული იერსახის შენარჩუნება და თანამედროვე სტანდარტებთან ადაპტაცია.

**ამბროლაურის კულტურის სახლი, რომელიც განსაკუთრებული არქიტექტურით გამოირჩევა, ისტორიული და კულტურული მნიშვნელობით ყოველთვის წარმოადგენდა მრავალფეროვანი ღონისძიებების, კონცერტებისა და საზოგადოებრივი თავშეყრის მთავარ ადგილს...**



# კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია

**კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ესტუმრა.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრმა ხელნაწერთა ცენტრის დირექტორთან **ზაზა აბაშიძესთან** ერთად დაათვალიერა საცავები, რესტავრაციისა და დიგიტალიზაციის ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და მემორიალური მუზეუმ-კაბინეტი. სამუშაო შეხვედრაზე ისაუბრეს კულტურის სამინისტროსა და ხელნაწერთა ცენტრს შორის სამომავლო თანამშრომლობაზე; განიხილეს არსებული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები.

**„ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და კვლევაში. სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულია ამ მიმართულების მხარდაჭერა. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2026 წლიდან, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. ცენტრის კოლექტივთან, მის გამოცდილ თანამშრომლებთან ერთად ვიმუშავებთ არსებულ გამოწვევებსა და ხელნაწერთა ცენტრის განვითარებისთვის საჭირო პირობების უზრუნველყოფაზე“,** – განაცხადა **თინათინ რუხაძემ.**

# კახეთიდან 19 ახალგაზრდა ათენში პირველად გაემგზავრა

**ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანის ინგლისური ენის ცენტრის 13-დან 17 წლამდე ასაკის მოსწავლეები საქართველოს პოზიციას დიპლომატიურად დაიცავენ.**

ენის ცენტრის ხელმძღვანელის, **ნანა პაპუნაშვილის** განმარტებით, ასეთ კონფერენციაში საქართველო პირველად მონაწილეობს. – **„ეს არის მე-15 საგანმანათლებლო კონფერენცია, რომელშიც საქართველო პირველად მონაწილეობს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კონფერენციას ესწრებიან დელეგატები მრავალი ქვეყნიდან, მათ შორის დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, მონტენეგროდან, თურქეთიდან და სხვა სახელმწიფოებიდან, რაც ღონისძიებას საერთაშორისო და მაღალ აკადემიურ ფორმატს აძლევს“,** – განაცხადა **პაპუნაშვილმა.**

კონფერენციაში, 11 ქვეყნის 700-ზე მეტი ახალგაზრდა მიიღებს მონაწილეობას. ენის ცენტრი სოფელ ზემო ალვანში წლებია ფუნქციონირებს და მასში 250-ზე მეტი მოსწავლეა რეგისტრირებული.




საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოღებულ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„ფავორიტში“**
აბელ ენუქიძის N5

ფავორიტი
სტამბა რომელსაც ენდობი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 11 მარტს